ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSI
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
Civil Society Institute

სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობა

დამხმარე სახელმძღვანელო

EDEC
განათლების განვითარების
და დასაქმების ცენტრი

ინოვაციური ინკლუზიური საზოგადოებისთვის

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSI
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
Civil Society Institute

წინამდებარე გზამკვლევი მომზადდა არასამთავრობო ორგანიზაციების „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი“ და „ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის“ თანამშრომლობით.

გზამკვლევში გათვალისწინებულია, როგორც ტრანზიციასთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილება ასევე, ადგილობრივი კონტექსტის შესწავლის შედეგად მიღებული მონაცემები.

გზამკვლევი ეფუძნება და ამასთანავე, ერთგვარი დანართია, ორგანიზაცია „ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის“ მიერ მომზადებული პუბლიკაციის „ადრეული ბავშვობა და ტრანზიცია სკოლაში“ (2018), რომელიც ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის „ტრანზიციის პოლიტიკა ინკლუზიური ადრეული და დაწყებითი განათლებისთვის“ ფარგლებში შემუშავდა.

ამრიგად, რეკომენდებულია, ტრანზიციის საკითხებით დაინტერესებული პირები გაეცნონ გზამკვლევსაც „ადრეული ბავშვობა და ტრანზიცია სკოლაში“, რომელშიც საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი ტრანზიციასთან დაკავშირებული კონცეპტუალური და პრაქტიკული საკითხები.

გზამკვლევზე მუშაობდნენ: მაია წულაძე, მარიამ ხვადაგიანი

რედაქტირება: ნათელა ხაზარაძე

მხატვარი: ლალი ბეგალიშვილი

პუბლიკაციის ნომერი: EDEC-002

ეს პუბლიკაცია შექმნილია პროექტის „განათლების თანაბარი შესაძლებლობები შშმ ბავშვებისათვის – გაზრდილი ხელმისაწვდომობა და ხარისხი!“ ფარგლებში ევროკავშირისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის ან სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის შეხედულებას

EDEC
განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი

ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის

სამადლობელი სიტყვა

დიდი მადლობა ედინბურგის უნივერსიტეტის, მურეის განათლების სკოლის პროფესიული სწავლა-სწავლების დირექტორსა და მკვლევარს, ჯულიეტ ჰენკოკს მხარდაჭერისათვის, საკუთარი გამოცდილების გაზიარებისა და მნიშვნელოვანი რეკომენდაციებისათვის.

გზამკვლევის მიზანი

გზამკვლევი ორიენტირებულია დაეხმაროს და პასუხი აპოვნინოს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების განათლებასა და მხარდაჭერაში ჩართულ პირებს (სკოლამდელი და ზოგადი განათლების დაწესებულებების წარმომადგენლები, მხარდამჭერი მომსახურების მიმწოდებელი ადრეული ინტერვენცია, დღის ცენტრი და სხვა, ბავშვის ოჯახის წევრები) თუ როგორ შეიძლება საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში უზრუნველყონ ეფექტიანად ბავშვისა და ოჯახისთვის უმტკივნეულოდ სკოლაში ტრანზიციის პროცესი.

დოკუმენტი ეფუძნება ინკლუზიურობის პრინციპს, რომელიც ყველა ბავშვის სწავლისა და განვითარებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას გულისხმობს ინდივიდუალურად მორგებული პროცესებისა და საჭირო მხარდაჭერის უზრუნველყოფით.

გზამკვლევის სამიზნე ჯგუფი

გზამკვლევი საინტერესო და სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს მკითხველთა საკმაოდ ფართო ჯგუფისთვის: საგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლამდელი, სკოლა) პრაქტიკოსებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის, მხარდამჭერი მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების თანამშრომელთათვის (ადრეული ინტერვენცია, დღის ცენტრი და სხვა) და ბავშვის ოჯახის წევრებისთვის.

ამრიგად, მოცემული გზამკვლევი ხელს შეუწყობს ყველა იმ პირს, რომელებიც ემსახურებიან სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების განათლებასა და მხარს უჭერენ მიმდინარე პროცესს.

გზამკვლევის შინაარსი

გზამკვლევი ეფუძნება სხვადასხვა ქვეყნის წარმატებულ გამოცდილებას და ტრანზიციის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს, ასევე, ორგანიზაცია „ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის“ მიერ საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგებს.

გზამკვლევი განმარტავს და მოკლედ მიმოიხილავს სისტემებს შორის ბავშვის გადასვლის (ტრანზიციის) პროცესს. ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებსა და სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობის პროცედურებს კონკრეტული რეკომენდაციებითა და მაგალითებით.

გასათვალისწინებელია, რომ გზამკვლევში წარმოდგენილი რეკომენდაციები და განხილული შემთხვევები, ზოგადია და მხოლოდ მაგალითად არის მოყვანილი. შესაბამისად, ბავშვის ტრანზიციის ხელშეწყობის პროცესში ჩართულმა პირებმა, მოცემული რეკომენდაციების გამოყენებისას აუცილებლად კონკრეტული ბავშვის, ასევე, მისი ოჯახის ინდივიდუალური თავისებურებებისა და არსებული კონტექსტის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა იხელმძღვანელონ.

სარჩევი

შესავალი 4
ტრანზიციის არსი და პროცესი 5
ტრანზიციის შესახებ 5
სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვი და სკოლაში ტრანზიცია 6
სკოლისათვის მზაობა 7
ტრანზიციის პროცესი და ეტაპები 9
ბავშვის განვითარების სფეროები 11
ფიზიკური და სენსორული განვითარება 11
კომუნიკაცია და ენობრივი განვითარება 13
შემეცნებითი უნარების განვითარება 14
სოციალურ-ემოციური განვითარება 14
დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ–ჩვევები 15
სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობა 16
მოტორული/ფიზიკური სირთულეების მქონე ბავშვის ტრანზიციის ხელშეწყობა 17
სმენასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე ბავშვის ტრანზიციის ხელშეწყობა 19
მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის ტრანზიციის ხელშეწყობა 22
სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობის შემთხვევები 26
კითხვები შემთხვევებზე რეფლექსიისთვის 26
I შემთხვევა 27
II შემთხვევა 30
III შემთხვევა 32
IV შემთხვევა 38
გამოყენებული ლიტერატურა 40

შესავალი

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ახალ სამსახურს იწყებთ. ერთადერთი, რაც ახალი სამსახურის შესახებ იცით, ეს მისი დასახელებაა - პირობითად „სკარტბრინგი“. თქვენთვის ცნობილი არ არის ახალი სამსახურის პროფილი, ადგილმდებარეობა, საათობრივი დატვირთვა, თქვენი მომავალი პოზიცია და თანამშრომლები, თქვენი ვალდებულებები და უფლებამოსილებები, ხელფასი და სამსახურთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი დეტალები. წარმოიდგინეთ, რომ სამსახურში თქვენს მისაღებად არც მისი ადმინისტრაცია და თანაშრომლები არიან მზად.

დაფიქრდით, როგორ იგრძნობდით თავს? რა დაგეხმარებოდათ სტრესისა და გაურკვევლობისგან წარმოქმნილი შფოთვის დაძლევაში?

ახალ გარემოში მოხვედრა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წინასწარ არ ვართ საკმარისად ინფორმირებული და მომზადებული, გარკვეულწილად, ყველასათვის სტრესი შეიძლება იყოს. განსაკუთრებით, ეს ბავშვებს ეხებათ.

წარმოვიდგინოთ ბავშვი, რომელსაც ეუბნებიან, რომ სკოლაში უნდა წავიდეს. „სკოლა“, რომელიც უკვე ასე ნაცნობი და გასაგები ცნებაა ზრდასრულებისა და ყველა იმ ბავშვისთვის, რომლებმაც სკოლაში სულ მცირე 1-2 წელი მაინც გაატარეს, შესაძლოა, სრულიად ახალი, გაურკვეველი, იდუმალებით სავსე და შფოთვის გამომწვევი ცნება აღმოჩნდეს ბავშვისთვის, რომელსაც სკოლაში სწავლის გამოცდილება არ აქვს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბავშვს სკოლამდელი განათლების დაწესებულებაშიც არ უვლია.

ბავშვისთვის, რომელიც ბაღში დადის, შესაძლოა „სკოლაც“ მსგავს შინაარსს ატარებდეს და მას ნაწილობრივ მცდარი წარმოდგენა შეექმნას ახალ სასწავლო გარემოზე. ცოტა მეტი შეიძლება იცოდეს სკოლის შესახებ იმ ბავშვმა, რომლის უფროსი დედმამიშვილი სკოლაში დადის.

ყველა შემთხვევაში, სკოლაში შესვლა ბევრ მოულოდნელობასა და სტრესთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, თუ ბავშვი წინასწარ არ იქნება მომზადებული ახალ გარემოში გადასასვლელად.

აღნიშნული ვითარება, შესაძლოა, კიდევ უფრო კრიტიკული აღმოჩნდეს სპეციალური საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის და ტრანზიციის პროცესში სპეციალური, გაფართოებული მხარდაჭერა დასჭირდეს.

ტრანზიციის არსი და პროცესი

გზამკვლევის მოცემულ ნაწილში განმარტებულია „ტრანზიციის“ არსი, განხილულია სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების ტრანზიციასთან დაკავშირებული გამოწვევები და თანამედროვე პერსპექტივა „სკოლისათვის მზაობაზე“. ამასთანავე, წინამდებარე თავი გთავაზობთ ტრანზიციასთან დაკაშირებული ეტაპებისა და პროცესების მოკლე აღწერასა და მიმოხილვას.

ტრანზიციის შესახებ

ყველა ბავშვი განვითარების ინდივიდუალურ და მისთვის უნიკალურ პროცესს გადის. ამასთანავე, ცხოვრების მანძილზე ყველა ბავშვს გარკვეულ ეტაპებს შორის უწევს გადასვლა (ტრანზიცია), რომელიც თითოეული ბავშვის შემთხვევაში, უნიკალური გამოცდილებაა. აღნიშნული ტრანზიციების მაგალითებია: ბაღში შესვლა, სკოლაში სწავლის დაწყება, ერთი საგანმანათლებლო გარემოდან მეორეში გადასვლა, სპორტულ წრეში ჩართვა და სხვა.

ყოველ ასეთ ტრანზიციას თავისებური განმავითარებელი (ემოციური, ფიზიკური, შემეცნებითი და სხვა) ფუნქცია აქვს და შედეგად, ბავშვი ახალ, საკმაოდ ღირებულ გამოცდილებას იძენს. მიუხედავად ამისა, ყოველი ახალი ტრანზიცია, შესაძლოა, საკმაოდ რთული, მტკივნეული და სტრესული აღმოჩნდეს ბავშვისთვის, განსაკუთრებით მაშინ, თუ არ იქნება უზრუნველყოფა შესაბამისი მხარდაჭერით.

ტრანზიციის პროცესი შესაძლოა მოიცავდეს ბავშვის შესვლას და/ან გადასვლას ქვემოთ ჩამოთვლილ სისტემებს შორის:

- ოჯახიდან სკოლამდელ დაწესებულებაში;
- ოჯახიდან ადრეული ინტერვენციის სერვისში და/ან სხვა მომსახურებაში;
- ადრეული ინტერვენციის მომსახურებიდან სკოლამდელ დაწესებულებაში;
- ერთი სკოლამდელი დაწესებულებიდან მეორეში;
- სკოლამდელი დაწესებულებიდან სკოლაში;
- ოჯახიდან სკოლაში;
- ადრეული ინტერვენციის მომსახურებიდან სკოლაში;
- სხვადასხვა სახის ცენტრიდან/ სოციალური მომსახურებიდან სკოლაში;
- ერთი სკოლიდან მეორეში.

აღნიშნულ ტრანზიციებს შორის, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანს და კრიტიკულს, ყველა ბავშვის ცხოვრებაში, სკოლაში შესვლა წარმოადგენს. სკოლაში ბავშვისთვის სრულიად ახალი, ცხოვრების წინაპერიოდებისგან განსხვავებული, ბევრად უფრო მეტი გამოწვევით სავსე ეტაპი იწყება. ბავშვის სკოლაში შესვლა ხშირად საკმაოდ ბევრ ცვლილებას უკავშირდება, როგორებიცაა: უცხო და სრულიად განსხვავებული გარემო, ბავშვის მიმართ გაზრდილი მოთხოვნები და მოლოდინები, ახალი წესები და რუტინა, ბევრი უცხო ადამიანი, როგორც თანატოლი, ასევე, უფროსი, ახალი კავშირების საჭიროება, გაზრდილი ვალდებულებები, მათ შორის მეტი და-

მოუკიდებლობისა და მეტი პასუხისმგებლობის საჭიროება და სხვა.

კვლევების მიხედვით, სკოლაში სათანადოდ ხელშეწყობილი ტრანზიცია და ამ პროცესში მიღებული პოზიტიური გამოცდილება, ბავშვის შემდგომი საგანმანათლებლო წარმატების, ეფექტიანი, ემოციური და სოციალური ფუნქციონირების განმაპირობებელია. ბავშვი, რომელიც სკოლას დადებითი გამოცდილებით იწყებს, თავს ბევრად უფრო დაცულად და მშვიდად გრძნობს ახალ გარემოში, სკოლაში მყოფი გარემოცვის მიმართ ავლენს მეტ ნდობას და სწავლისადმი შედარებით მაღალი მოტივაცია უჩნდება.

სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვი და სკოლაში ტრანზიცია

სკოლაში ტრანზიცია, რომელიც კრიტიკულ პერიოდად არის მიჩნეული, ნებისმიერი ბავშვისთვის, კიდევ უფრო კომპლექსური და გამოწვევებით სავსე შეიძლება აღმოჩნდეს ბავშვებისთვის, რომელთაც სპეციალური საჭიროებები გააჩნიათ.

სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვს, შესაძლოა, არ ჰქონდეს საკმარისი სკოლამდელი გამოცდილება; შეზღუდული შესაძლებლობებისა თუ ჯანმრთელობის პრობლემების გამო, არ ჰქონდეს ან საკმარისად არ ჰქონდეს გამომუშავებული თვითმომსახურების და სკოლის გარემოში დამოუკიდებლად ფუნქციონირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, ბავშვი არ იყოს მიჩვეული საკმარის დამოუკიდებლობას. გამოვლინდეს კომუნიკაციური, თვითგამოხატვისა და ემოციური სირთულეები. ჰქონდეს სენსორული ინფორმაციის დამუშავების სპეციფიკური სტილი და ამასთან დაკავშირებული საჭიროებები და სხვა.

გარდა ბავშვისა, შესაძლოა, ოჯახსაც სპეციფიკური საჭიროებები გააჩნდეს როგორებიცაა: არასაკმარისი ინფორმაცია ბავშვის საგანმანათლებლო უფლებებისა და ქვეყანაში არსებული რესურსების შესახებ; მომატებული შფოთვა, თუ რამდენად უსაფრთხო იქნება სკოლის გარემო ბავშვისთვის; ბავშვისა და სკოლის მიმართ არასათანადო მოლოდინები; ყოველდღიურად ბავშვის სკოლაში ტრანსპორტირების სირთულე; ბავშვის სწავლების პროცესის მხარდამჭერი სტრატეგიების არასაკმარისი ფლობა და სხვა.

გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ასევე სკოლაც; მას შეიძლება არ გააჩნდეს კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ხელშეწყობის კომპეტენციები, შესაბამისი ადამიანური/პროფესიული და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, არ ჰქონდეს სწორი ხედვა, თუ როგორ შეუწყოს ხელი სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვს. არასაკმარისი ინფორმაცია ჰქონდეს კონკრეტული ბავშვის შესაძლებლობებისა და საჭიროების შესახებ, არ ჰქონდეს ბავშვის საჭიროებებზე მორგებული ფიზიკური გარემო და სხვა.

როგორც ვხედავთ, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის სკოლაში ტრანზიციასთან დაკაშირებული გამოწვევები, ყველა დონეზე შეიძლება აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში, როგორც ბავშვს, ასევე, ოჯახსა და სკოლას ტრანზიციისთვის განსაკუთრებული მომზადება და სპეციფიკური მხარდაჭერა ესაჭიროება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ რელევანტური მხარდაჭერა ხელმისაწვდომი იყოს, როგორც ბავშვისთვის, ასევე, ოჯახისა და სკოლისთვის.

სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის სკოლაში ტრანზიცია შეიძლება განსხვავდებოდეს იმისდა მიხედვით, თუ რა წინარე გამოცდილება აქვს, მაგალითად:

- ბავშვი ჩართულია სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში და ასევე იღებს ადრეული ინტერვენციის ან დღის ცენტრის მომსახურებას;
- ბავშვი ჩართულია სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში, მაგრამ არ იღებს ან არ საჭიროებს ადრეული ინტერვენციის ან დღის ცენტრის მომსახურებას;

- ბავშვი არ არის ჩართული სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში, მაგრამ იღებს ადრეული ინ-ტერვენციის ან დღის ცენტრის მომსახურებას;
- ბავშვი არ არის ჩართული არც სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში და და არც ადრეული ინ-ტერვენციის ან დღის ცენტრის მომსახურებაში.



სფეროში არსებული გამოცდილების მიხედვით, რაც უფრო მეტი განსხვავებაა იმ კონტექსტებს/სისტემებს შორის, რომლებშიც ბავშვი გადაადგილდება (გამშვები და მიმღები სისტემა), მით უფრო მეტი გამოწვევის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ბავშვი (Margetts, 2002 as cited in Skouteris, h., Watson, B. and Lum, J., 2012).

შესაბამისად, ბავშვის სკოლაში ტრანზიციის გეგმა, პროცესის ინიცირების პერიოდი, ტრანზიციისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი, ეს ყველაფერი ინდივიდუალური ბავშვის შემთხვევაში განსხვავებული იქნება.

გასათვალისიწინებელია, რომ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვისთვის რელევანტური (უსაფრთხო, ხელმისაწვდომი) საგანმანათლებლო სივრცის აღმოჩენასა და ამ გარემოს შესაბამისად მომზადებას, შესაძლოა, მეტი დრო და განსხვავებული რესურსების მობილიზება დასჭირდეს (ნ. რუხაძე, ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი, 2016 წ.).

სკოლისათვის მზაობა

საქართველოს კანონით, „ზოგადი განათლების შესახებ“ (მუხლი 6, პუნქტი 6), სკოლის დაწყების ასაკი 6 წელია. აღნიშნული ასაკი გულისხმობს, რომ ბავშვი გარკვეულწილად უკვე მზადაა სკოლისთვის.

როგორც ვნახეთ, სკოლაში ტრანზიცია არის პროცესი, რომელიც გულისხმობს ბავშვის შესვლას და/ან გა-

დასვლას არაფორმალური და/ან სოციალური მომსახურებებიდან ფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში. ტრანზიციის მხარდაჭერა ან მხარდაჭერილი ტრანზიცია კი ბავშვის სასკოლო მზაობის განვითარების და ზოგადი განათლების წარამატებით დაწყების ხელშეწყობას გულისხმობს, რომლის დროსაც აუცილებელია კონკრეტული ბავშვის, მისი ოჯახისა და ამასთანავე, მიმღები სკოლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება.

წარსულში გავრცელებული ხედვის საპირისპიროდ, რომელიც სკოლისათვის მზაობას ძირითადად ბავშვის აკადემიური და შემეცნებითი მზაობით განიხილავდა, დღესდღეობით საერთაშორისოდ აღიარებულია, რომ სკოლისათვის მზაობა ბევრად მეტ კომპონენტს მოიცავს, როგორიცაა: ემოციური და სოციალური მზაობა, კომუნიკაციური უნარები, დამოუკიდებელი უნარ-ჩვევები და სხვა. გარდა ამისა, შეიცვალა ე.წ. „მზაობის“ ფოკუსიც, რომლის მიხედვითაც სკოლისათვის მზაობა ეხება არა მარტო ბავშვს, არამედ კიდევ უფრო მეტად გარემოს, საზოგადოებას (ოჯახი, მიმღები დაწესებულება). ამრიგად, არა მარტო ბავშვი, არამედ მისი ოჯახიც და თავად სკოლაც უნდა იყოს მზად სკოლაში ტრანზიციისთვის. სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის ტრანზიციის შემთხვევაში, სკოლას, ოჯახს განსაკუთრებული მომზადება და ამ მომზადების პროცესში სხვა სექტორებისა და უწყებებისგან განსაკუთრებული მხარდაჭერა შეიძლება დასჭირდეს.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარდამჭერ რგოლს წარმოადგენს ადრეული ინტერვენციის და დღის ცენტრების მომსახურება, რომელთა რესურსიც ბავშვის სკოლაში ტრანზიციის სასიკეთოდ უნდა იყოს გამოყენებული.

კითხვები, რომლებიც შეიძლება ტრანზიციის პროცესში გაჩნდეს:

- ? რამდენად არის ბავშვი მზად ემოციურად და პრაქტიკულად (მაგ. თვითმომსახურების უნარ-ჩვევები) ახალ გარემოში ფუნქციონირებისათვის?
- ? რამდენად არის ოჯახი მზად სკოლის რუტინისა და სკოლასთან დაკავშირებული ახალი გამოწვევებისთვის?
- ? რამდენად არის სკოლა მზად (პროფესიული, მატერიალურ-ტექნიკური, მეთოდოლოგიური და სხვა თვალსაზრისით) სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის დასახვედრად და ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველსაყოფად?
- ? ვის და რა სახით შეუძლია ბავშვის ტრანზიციის პროცესის მხარდაჭერა?

საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, წარმატებული ტრანზიცია მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული:

- ბავშვის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მომზადება, დოკუმენტირება და ჩართულ მხარეებს შორის გაზიარება;
- მიმღები დაწესებულებისთვის ბავშვის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება; ტრანზიციის პროცესში ჩართული პირების როლებისა და პასუხისმგებლობების ნათლად განსაზღვრა და სკოლებში ტრანზიციაზე პასუხისმგებელი პირის/პირთა ჯგუფის არსებობა;
- ჩართულ მხარეებს შორის ეფექტური კომუნიკაციისა და თანამშრომლობის არსებობა;
- მშობლების/ოჯახის წევრების აქტიური მონაწილეობა და მათი პერსპექტივის გათვალისწინება:
- თავად ბავშვის პერსპექტივის გათვალისწინება;
- ადრეული დაგეგმვა და პროცესის მონიტორინგი;
- სპეციალური საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ისევე, როგორც სოციალურად და ეკონომიკურად მოწყვლადი ბავშვების დამატებითი, სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინება და სათანადო მხარდაჭერის აღმოჩენა;
- მიმღებ გარემოში საორიენტაციო ვიზიტები და ბავშვის წინასწარი მომზადება ახალი გარემოსთვის (მაგ.: ამბების, ისტორიების, სპეციალურად შექმნილი წიგნებისა და დღიურების გამოყენებით);

- ქვეყანაში ტრანზიციის მკაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკის და რეგულაციების არსებობა;
- სკოლამდელი განათლების და დაწყებითი კლასის სასწავლო პროგრამებს შორის მაქსიმალური თანხვედრა;
- ტრანზიციასთან დაკავშირებული პირების/მხარეების შესაბამისი მომზადება ტრანზიციის საკითხებში.

ტრანზიციის პროცესი და ეტაპები

ტრანზიცია არა რაიმე ერთჯერად მოვლენას, არამედ განგრძობით და საკმაოდ კომპლექსურ პროცესს წარმოადგენს. წარმატებული ტრანზიცია, ბავშვის, მისი ოჯახის და მიმღები საგანმანათლებლო გარემოს უწყვეტ, გრძელვადიან მხარდაჭერას გულისხმობს. ბავშვის ტრანზიციისათვის მზადება მანამდე უნდა დაიწყოს, სანამ ცხოვრების მიმდინარე ეტაპი დასრულდება და ბავშვი ახალი ეტაპის პირისპირ აღმოჩნდება.

როგორც ვნახეთ, საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ფორმალურ განათლებაში ტრანზიცია, შესაძლოა, განსხვავებული გარემოდან ხდებოდეს და შესაბამისად, განსხვავებული იყოს, როგორც ბავშვის სკოლის წინარე გამოცდილება და მზაობა, ასევე, მის ცხოვრებაში ჩართული მხარეები და არსებული რესურსები (მაგ. დამხმარე სოციალური სერვისები).

სკოლამდელი განათლების დაწესებულებები და სოციალური სერვისები, სწორედ ბავშვის განვითარების მხარდაჭერას ემსახურება და მას ცხოვრების შემდეგი ეტაპისთვის ამზადებს. ამრიგად, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის სკოლაში ტრანზიციის პროცესში, აღნიშნულ რგოლებს საკმაოდ დიდი ფუნქცია აკისრია.

ახალ გარემოში ბავშვის ტრანზიციის პროცესის დაგეგმვისა და ეფექტიანად განხორციელებისთვის, მნიშვნელოვანია ბავშვის სწავლასა და განვითარებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების შეფასება, ისევე, როგორც ოჯახის და მიმღებ დაწესებულებაში არსებული რესურსებისა და ბარიერებისა. მიმღები გარემოს რესურსები და შესაძლო დაბრკოლებები, კონკრეტულ ბავშვთან და მის საჭიროებებთან მიმართებით უნდა გაანალიზდეს. ბავშვთან, ოჯახსა და საგანმანათლებლო გარემოსთან დაკავშირებული აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება და დოკუმენტირება, ტრანზიციის პროცესის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს.

რაც შეეხება ტრანზიციის პროცესს, ის პირობითად შეგვიძლია დავყოთ სამ ძირითად ეტაპად, რომელიც, თავის მხრივ, სხვადასხვა ხანგრძლივობას, მრავალფეროვან აქტივობებსა და პროცედურებს მოიცავს:

I ეტაპი
ტრანზიციისთვის მზადება

II ეტაპი
ტრანზიციის ინიცირება და ტრანზიციის პროცესის განხორციელება

III ეტაპი
ტრანზიციის პროცესის დასრულება, ეფექტიანობის შეფასება

ტრანზიციის ყველა ეტაპი უწყვეტად უნდა იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან და მთელი ამ პროცესის მანძილზე ბავშვის შესაბამის მხარდაჭერას უზრუნველყოფდეს.

სკოლისათვის მზაობაზე ზრუნვა და ტრანზიციის ინიცირება, სკოლამდელი განათლების დაწესებულებამ თუ დამხმარე მომსახურებამ იმ მომენტიდან შეიძლება დაიწყოს, როდესაც ბავშვი აღნიშნულ საგანამანთლებლო

გარემოსა თუ მომსახურებაში ხვდება. რეკომენდებულია, რომ ტრანზიციის პროცესის ინიცირება, სასწავლო წლის დაწყებამდე, სულ მცირე, 12 თვით ადრე მაინც მოხდეს. მოსალოდნელი ცვლილებებისა და ახალ გარემოში მოსახვედრად მზადება მანამ უნდა დაიწყოს, სანამ ბავშვი აღნიშნული ცვლილებების პირისპირ აღმოჩნდება.

ტრანზიციის პროცესისათვის სათანადოდ ხანგრძლივი დროის დათმობა განსაკუთრებით იმ შემთხვევებშია აუცილებელი, როდესაც ბავშვის, ოჯახის და/ან სკოლის სპეციფიკური მომზადებაა საჭირო. მაგ.: სკოლის ფიზიკური გარემოს ადაპტაცია, მასწავლებლის გადამზადება, რათა დაეუფლოს ჟესტურ ენას. დამხმარე სპეციალისტების პროფესიული გაძლიერება, ბავშვისთვის კომუნიკაციის ალტერნატიული ფორმების შერჩევა და გამოყენების სწავლება და სხვა. ა.შ. შესაბამისად, რაც უფრო ადრე დაიწყება ბავშვის სკოლაში ტრანზიციასთან დაკავშირებული საჭიროებების შეფასება, მით უფრო მეტი დრო იქნება წინამოსამზადებელი სამუშაოებისთვის.

რაც შეეხება პროცესის დასასრულს, აღსანიშნავია, რომ ტრანზიციის ხელშეწყობის პროცესი ბავშვის ახალ გარემოში ფიზიკური გადასვლით არ სრულდება, არამედ ბავშვის ახალ გარემოსთან შეეგუებამდე გრძელდება. როგორც წესი, დასრულების ინდიკატორად სკოლის ახალ გარემოსთან ბავშვის შეგუება და წარმატებული ჩართვა განიხილება. ყველა ბავშვი და ოჯახი აღნიშნული შეგუების პროცესს ინდივიდუალური ტემპით, მიღწევებითა და გამოწვევებით გადის.

ტრანზიციასთან დაკავშირებული საჭიროებების შეფასებასა და გასაწევი მხარდაჭერის განსაზღვრაზე (ინდივიდუალურ ტრანზიციის გეგმის შედგენა), ძირითადი პასუხისმგებლობა გამშვებმა დაწესებულებამ უნდა აიღოს (სკოლამდელი განათლების დაწესებულება და/ან ადრეული/დღის ცენტრის მომსახურება) მიმღებ დაწესებულებასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

როგორც ვიცით, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვი, შესაძლოა, სხვადასხვა სერვისთან, სპეციალისტთან იყოს დაკავშირებული, ერთდროულად იღებდეს რამდენიმე მომსახურებას. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია, რომ ყველა რგოლი აქტიურად თანამშრომლობდეს, კოორდინირებულად მოქმედებდეს და რეგულარულად ცვლიდეს ბავშვის შესახებ ინფორმაციას.

ბავშვის განვითარების სფეროები

> გზამკვლევის მოცემულ ნაწილში შემოთავაზებულია განვითარების სფეროების მოკლე მიმოხილვა, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ტრანზიციის პროცესში.
>
> ახალ გარემოში უმტკივნეულო გადასვლის უზრუნველსაყოფად, სწორედ ცალკეული ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება უნდა მოხდეს.

ადამიანის განვითარება ჰოლისტური/მთლიანი პროცესია. ერთმანეთის პარალელურად ვითარდება სხვადასხვა უნარი: ფიზიკური, სენსორული, კომუნიკაციური, შემეცნებითი და ა.შ. აღნიშნული უნარების განვითარების პროცესი, შესაძლებელია, იერარქიულად მოგვეჩვენოს, მაგალითად ბავშვს ჯერ სმენა უვითარდება და შემდეგ ითვისებს მეტყველებას, მაგრამ ეს ასე არ არის. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ ასაკში კონკრეტული უნარის განვითარება შესაძლებელია იყოს წამყვანი, აღნიშნული უნარები ერთმანეთის პარალელურად ვითარდება.

ასევე, თითოეულ ბავშვს განვითარების თავისი ტემპი გააჩნია და გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. უფრო მეტიც, ერთი და იმავე ბავშვის სხვადასხვა უნარიც განსხვავებული ტემპით და თვისობრიობით ვითარდება. შესაძლებელია, გარკვეულ ასაკში კონკრეტული უნარი უსწრებდეს განვითარებით სხვა უნარს ან ჩამორჩებოდეს მას.

<u>მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის ტრანზიციის დროს, გაითვალისწინონ ბავშვის განვითარების თითოეული სფერო, თავისებურება და საჭირო მხარდაჭერა სწორედ ამ ინდივიდუალური თავისებურებების მიხედვით უზრუნველყონ.</u>

ფიზიკური და სენსორული განვითარება

ბავშვის ფიზიკური განვითარება დაბადებიდან აქტიურად მიმდინარეობს. აღნიშნული განვითარება ეხება, როგორც მსხვილ და ნატიფ მოტორულ უნარებს, ასევე თავის ტვინის ცვლილებებს. როგორც ჩვილობის, ასევე ადრეული ბავშვობის ასაკში ფიზიკური ზრდა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. თუ ჩვილობაში შედარებით სწრაფად იმატებდა წონაში, ადრეული ბავშვობის ასაკში ნელ–ნელა იწყება წონაში კლება, ბავშვი ხდება უფრო გამხდარი, იზრდება სიმაღლეში. აღნიშნულ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სწორი კვება, ჰიგიენა და სათანადო ზრუნვა.

ანალოგიურად მიმდინარეობს სენსორული განვითარებაც. პატარები სწავლობენ სამყაროს აღქმას შეგრძნებებით: შეხება, დანახვა, მოსმენა, დაგემოვნება, ყნოსვა, ვიზუალური და სმენითი სტიმულების აღქმა და ა.შ. ბავშვი უკეთესად არჩევს ხმებს, იმისთვის, რომ საგანი შეისწავლოს აღარ სჭირდება საგნის პირში ჩადება და გამოკვლევის უფრო მრავალფეროვან საშუალებებს იყენებს. შესაბამისად, აუცილებელია, ბავშვის სენსორული განვითარებისთვის მისი სწორი, დროული და ასაკის შესაბამისი სტიმულირება (ვიზუალური-ფერადი სათამაშოები, სმენითი-ხმოვანი სათამაშოები, ტაქტილური-სხვადასხვა ფაქტურების და მასალების ნივთებით მანიპულირება და ა.შ.).

თავის ტვინიც ასევე სწრაფად ვითარდება ადრეული ბავშვობის ასაკში. რაც უფრო კარგად განვითარდება თავის ტვინი და ნერვული სისტემა ამ პერიოდში, მით უფრო მეტად კომპლექსურ — ქცევით და შემეცნებით

უნარებს ეუფლება ბავშვი. 2-8 წლამდე ბავშვების განვითარება ასევე თავის ტვინის ლატერალიზაციის კუთხით არის მნიშვნელოვანი. ადამიანის თავის ტვინი ანატომიურად გაყოფილია ორ ნაწილად, მარჯვენა და მარცხენა ჰემისფეროებად. თითოეული ჰემისფერო გარკვეულ უნარებზეა პასუხისმგებელი (მაგ: ითვლება, რომ მარცხენა ჰემისფერო უპირატესად მეტყველებასა და მეტყველებით გაშუალებულ უნარებზეა სპეციალიზირებული, ხოლო მარჯვენა ჰემისფერო არავერბალურ უნარებზე) და გარემოდან მიღებულ ინფორმაციას სპეციფიკურად ამუშავებს. ფუნქციების ასეთ გადანაწილებას „ლატერალიზაცია" ეწოდება, თუმცა, მიუხედავად ლატერალიზაციისა, ნებისმიერი ტიპის დავალებაში, როგორც წესი, ორივე ჰემისფეროა ჩართული და კოორდინირებულად მუშაობს. ითვლება, რომ 2-6 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში თავის ტვინის მარცხენა ჰემისფერო უფრო სწრაფად ვითარდება, ხოლო 7-11 წლის ასაკში, მარჯვენა ჰემისფერო. რიგი მკვლევრებისა სწორედ ამ ფაქტით ხსნიან ბავშვების მიერ ადრეულ ასაკში ენის ასე სწრაფად სწავლასა და ათვისების უნარს.

ასევე ადრეული პერიოდიდან იწყება მსხვილი მოტორული (სიარული, სირბილი, ხტუნვა, ბალანსის დაცვა, სროლა, ცეკვა და ა.შ.) და ნატიფი მოტორული (ხატვა, ძერწვა, წერა, თასმების და ელვის შეკვრა და ა.შ.) უნარების განვითარება. აღსანიშნავია, რომ ნატიფი მოტორიკა შედარებით ნელა ვითარდება, ვიდრე მსხვილი მოტორული უნარები.

ალბერტ ბანდურას თეორიის მიხედვით, იმისათვის, რომ ბავშვმა აითვისოს ახალი უნარები ის უნდა:

- ✓ დააკვირდეს სხვების ქცევას;
- ✓ მოახდინოს ქცევის მენტალური ხატის ფორმირება;
- ✓ მოახდინოს ქცევის იმიტაცია (მიმსგავსება);
- ✓ პრაქტიკაში გამოიყენოს და ივარჯიშოს აღნიშნულ ქცევაზე;
- ✓ ჰქონდეს ქცევის გამეორების მოტივაცია.

ეს კი ნიშნავს, რომ ბავშვს უნდა ჰქონდეს გარემოს მიერ შეთავაზებული ადეკვატური შესაძლებლობა და ხელშეწყობა ახალი უნარების დაუფლებისთვის.

ვიგოტსკის სოციო-კულტურული თეორიის მიხედვით, ბავშვის განვითარების პროცესში კულტურას და სოციალურ ინტერაქციას/ურთიერთობებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მისი აზრით, ბავშვების განვითარების ხელშეწყობა ხორციელდება ფორმალური სწავლების გარეშე, როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ გარემოში (სახლი, ეზო, სკოლა, ტრანსპორტი და ა.შ.). აღნიშნულ პროცესში უფროსები მოქმედებენ, როგორც დამხმარე პირები, წარმმართველები, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვის შემეცნებით, ემოციურ თუ სხვა ტიპის განვითარებას.

ვიგოტსკი გამოყოფს ორ ზონას: „განვითარების აქტუალურ ზონას" და „განვითარების უახლოეს ზონას". „განვითარების აქტუალური ზონა" მოიაზრებს ბავშვის მიერ დამოუკიდებლად, დახმარების გარეშე შესრულებულ მოქმედებას; ხოლო „განვითარების უახლოეს ზონა" ბავშვის მიერ სხვათა დახმარებით შესრულებულ მოქმედებას. ამრიგად, განვითარების უახლოეს ზონაში ბავშვს არ შეუძლია გარკვეული ქმედებების დამოუკიდებლად შესრულება, თუმცა ასრულებს სხვათა რელევანტური დახმარებით. სწორედ ამ ზონაშია მნიშვნელოვანი უფროსის, მშობლის, მასწავლებლის როლი განვითარების სტიმულირებისთვის. კრიტიკულად მნიშვნელოვანია უფროსმა შეძლოს წორად განსაზღვროს თუ რა ტიპის დახმარება სჭირდება კონკრეტულ ბავშვს განვითარების ეფექტური ხელშეწყობისთვის.

როდესაც ვსაუბრობთ საგანმანათლებლო საჭიროებებზე, აღნიშნული პროცესების ხელშეწყობა შესაძლებელია განსხვავებულად მიმდინარეობდეს. მაგალითად, თუ ბავშვს აქვს რაიმე ტიპის ფიზიკური ან მოტორული შეზღუდვა, მას დამატებითი რესურსი ესაჭიროება გარკვეული უნარების ასათვისებლად ან არსებული შესაძლებლობის ფარგლებში ფუნქციონირებისათვის. მისი ათვისების ტემპი, შესაძლოა, განსხვავებული იყოს, ასევე შეიძლება ბავშვს გარემოს ადაპტირება დასჭირდეს. შესაბამისად, როლი მშობლების და იმ ადამიანებისა, რომლებიც ჩართული არიან ბავშვის სწავლისა და განვითარების პროცესში (მშობელი, აღმზრდელი, განათლე-

ბის სპეციალისტი და ბავშვის გარემოცვაში მყოფი სხვა ადამიანი), კრიტიკულად მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია არამხოლოდ ფიზიკური ხელშეწყობა, არამედ სათანადო მხარდაჭერის ხარისხი, მიმღებლობა და ა.შ.

კომუნიკაცია და ენობრივი განვითარება

კომუნიკაცია წარმოადგენს ადრეულ ასაკში ბავშვისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უნარს. სწორედ კომუნიკაციის მეშვეობით იღებს ბავშვი ახალ ინფორმაციას, სწავლობს, ახდენს იმიტაციას. სწორი და ბავშვისთვის ხელმისაწვდომი კომუნიკაცია კრიტიკულად მნიშვნელოვანია ნებისმიერ ასაკში, განსაკუთრებით კი ადრეული ბავშვობის პერიოდში.

ხელმისაწვდომი კომუნიკაცია გულისხმობს დაამყაროს ურთიერთობა ისეთი ფორმებით, რომლებიც ბავშვისთვის გასაგებია. მაგალითად, უსინათლო ბავშვის შემთხვევაში კომუნიკაციის ფორმად ვერ გამოვიყენებთ ვიზუალურს, არამედ ვიყენებთ ტაქტილურ ფორმას; ან 1 წლის ბავშვთან კომუნიკაციის ფორმა ვერ იქნება იგივე, რაც 35 წლის ადამიანთან, რადგან 1 წლის ბავშვისთვის გაუგებარია კომუნიკაციის ის ფორმები, რომლებსაც მივმართავთ ზრდასრულებთან. იმისათვის, რომ დამყარდეს ბავშვთან მისი განვითარების შესაბამისი კომუნიკაცია, მშობელი კომუნიკაციისთვის ორივესთვის ხელმისაწვდომ სისტემას უნდა იყენებდეს. სწორედ ამიტომ, ზრდასრულები ხშირად ჩვილებთან კომუნიკაციის დროს იყენებენ სხეულის ენას, ჟესტიკულაციას, სახის მიმიკის ცვლილებას, შეფერილ და განსხვავებულ ინტონაციას, ანუ ისინი ბავშვთან მისთვის გასაგებ ენაზე ამყარებენ კომუნიკაციას. სწორედ ასე სწავლობს ბავშვი სხვათა მეტყველების გაგებას, ითვისებს სიტყვებს, ესმის მათი მნიშვნელობა და შემდეგ იყენებს მათ.

თუ გარკვეული მიზეზების გამო ბავშვთან კომუნიკაცია მისთვის მისაღები გზით ვერ ან არ მყარდება, ბავშვის კომუნიკაციის უნარის განვითარება ფერხდება, ასევე ფერხდება ენის განვითარება; აღნიშნული შემდეგ აისახება ბავშვის განვითარებასა და განათლების მიღების, ცხოვრებისთვის საჭირო უნარების ათვისების შესაძლებლობასა და ცხოვრების ხარისხზე. მაგალითად, თუ სმენის მქონე მშობლების ოჯახში დაიბადა ყრუ ბავშვი, მისთვის მეტყველება ვერ იქნება კომუნიკაციის პირველადი და მისაღები წყარო. ამ შემთხვევაში მას უნდა შევთავაზოთ ალტერნატიული კომუნიკაციის ფორმა - ჟესტური ენა. შესაბამისად, იმისათვის, რომ ბავშვმა დაამყაროს ადეკვატური კომუნიკაცია და კომუნიკაციის გზით მიიღოს ინფორმაცია სამყაროს შესახებ, მშობელი და ოჯახის სხვა წევრები უნდა იყენებდნენ მასთან კომუნიკაციის დროს ჟესტურ ენას. ასევე ბაღსა და სკოლაში ჩართული განათლების სპეციალისტებიც და მათთან ერთად თანატოლები სწორედ ამ კომუნიკაციის ტიპს უნდა იყენებდნენ ყრუ ბავშვთან მიმართებით.

კომუნიკაცია ძირითადად ენით არის გაშუალებული, იქნება ეს ზეპირმეტყველება, წერილობითი გადმოცემული ინფორმაცია, ჟესტური ენა თუ სხვა. ენობრივი განვითარება ადამიანის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, რადგან სწორედ ენობრივ განვითარებაზეა დამოკიდებული ბავშვის შემდგომი განვითარება განათლებისა და ინფორმაციის მიღებისას. ენობრივი განვითარება მოიაზრებს ბავშვის მიერ ენობრივი კომპეტენციების შეძენას. მაგ: სიტყვების გამოყენებას, ლექსიკური მარაგის გაზრდას, როგორც მარტივი, ასევე რთული წინადადებების შედგენას, დიალოგის წარმართვას, კითხვისა და წერის ათვისებას. ენის განვითარება ადრეული ასაკიდან იწყება. საწყის ეტაპზე, ბავშვს მხოლოდ ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა ესმის და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის ორ და სამსიტყვიანი წინადადებების შინაარსის გაგებაზე. ანალოგიურად აქტიურდება ენის გამოყენება - თავიდან ბავშვი ცალკეულ სიტყვებს იყენებს, შემდეგ წინადადებებს, რომელებშიც ხშირია აგრამატიზმები და 3-4 წლისთვის, ბავშვი მეტ-ნაკლებად გამართულ წინადადებებს ეუფლება. ასაკის მატებასთან ერთად, ბავშვი იგებს რთულ ენობრივ კონტსრუქციებს და შეუძლია თავადაც გამოიყენოს ისინი.

შემეცნებითი უნარების განვითარება

შემეცნებითი (კოგნიტური) უნარები ადამიანის განვითარების ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს და იგი მოიცავს ისეთ უნარებს, როგორებიცაა მეტყველება, მეხსიერება, ყურადღება, აზროვნება და ა.შ.

სხვადასხვა ასაკში აღნიშნული უნარები განსხვავებული სისწრაფით ვითარდება. თუ მეტყველება ადრეული ასაკიდანვე სწრაფი ტემპით ვითარდება და ბავშვი დღეში საშუალოდ 10-20 სიტყვას ითვისებს, ყურადღების მოცულობა შედარებით ნელა იზრდება, ასევეა აზროვნების ოპერაციები, ისინი დროთა განმავლობაში იცვლება.

ჩვილობის ასაკში (0 თვიდან 18 თვემდე) წამყვანია სენსორული და მოტორული განვითარება; ამ დროს ბავშვები სწავლობენ ფერების, ხმების აღქმას, სახეების გარჩევას და ა.შ. ადრეულ ასაკში ბავშვები ითვისებენ საგნის კონსტანტობას; მაგ.: თუ ჩვილს ჰგონია, რომ დამალული საგანი გაქრა და აღარ არსებობს, ადრეული ბავშვობის პერიოდში (18 თვიდან 3 წლამდე) ბავშვი იწყებს დამალული საგნის ძებნას; ასევე ამ ასაკში ნელ-ნელა შემოდის წესები, ბავშვები სწავლობენ თუ რომელი ქცევა არის მისაღები და რომელი არა.

ამავე პერიოდში წამყვანია ფუნქციური და სიმბოლური თამაში. ფუნქციური თამაში საგნის/სათამაშოს დანიშნულების მხრივ გამოყენებას გულისხმობს. მაგ. თუ ბავშვი სათამაშო მანქანებით არ აწყობს კოშკს, არამედ ატარებს მათ წინ და უკან, ეს ფუნქციური თამაშია. 18 თვიდან ბავშვი იწყებს სიმბოლურ თამაშს, რაც ასევე „ვითომ-ვითომ“ თამაშის სახელით შეიძლება მოვიხსენიოთ, მაგ: როდესაც ბავშვი სათამაშო ჩაიდნით ვითომ ასხამს ჭიქაში ჩაის, სვამს და ამბობს „კარგია“, ან „გემრიელია“, ან როდესაც ბავშვი ერთ საგანს იყენებს, როგორც მეორე საგანს მაგ: სათამაშო კუბიკი, რომელიც ვითომ ტელეფონია, მიაქვს ყურთან და ვითომ ლაპარაკობს. ბავშვის თამაშს ხელი უნდა შეეწყოს მისი ასაკიდან და განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე, შესაბამისად სათამაშოები და თამაშის ტიპი უფროსმა უნდა აარჩიოს ბავშვთან ერთად.

3 წლიდან ბავშვებს უვითარდებათ წარმოსახვა, იზრდება მეხსიერების მოცულობა, უფრო დიდხანს შეუძლიათ ყურადღების კონცენტრირება ერთ საგანზე, წიგნიერების წინარე უნარები მეტად აქტუალურია ამ პერიოდისთვის. ბავშვები ძირითადად ეგოცენტრულები არიან და სამყაროს აღიქვამენ მხოლოდ საკუთარი პერსპექტივიდან. იმისათვის, რომ შემეცნებითი უნარები განვითარდეს ბავშვებს სჭირდებათ გარემოდან მიღებული სწორი განმავითარებელი აქტივობები, ობიექტებისა და გარემოს კვლევის მრავალი შესაძლებლობა, მხარდაჭერა საჭირო დროს და საჭირო ადგილას.

როდესაც ბავშვს საგანმანათლებლო საჭიროება აქვს და მისი ინტელექტუალური უნარები განსხვავებულად ვითარდება, აუცილებელია მშობელმა, აღმზრდელმა და სხვა მასთან კომუნიკაციაში მყოფმა ზრდასრულმა გაითვალისწინოს ბავშვის სწავლისა და განვითარების თავისებურებები, ხელი შეუწყოს მას ადეკვატური მასალის მიწოდებით, საჭიროების შემთხვევაში, მისცეს დამატებითი დრო, განმარტება, იყოს პოზიტიური, მხარდამჭერი და გააკეთოს იმ ქცევის მოდელირება, რომლის დასწავლაც სურს.

სოციალურ-ემოციური განვითარება

ადრეული ბავშვობის ასაკში, როგორც უკვე აღვნიშნეთ საფუძველი ეყრება ისეთი უნარების განვითარებას, როგორებიცაა მეტყველება, კომუნიკაცია, აზროვნება, წიგნიერება და ა.შ. გარდა ამისა, ამავე პერიოდში ბავშვები იწყებენ ურთიერთობას სხვა ადამიანებთან, უყალიბდებათ მოლოდინები ადამიანების, სამყაროს მიმართ. სწორედ ამ დროს უჩნდებათ ბავშვებს თავიანთი პირველი შეგრძნება კეთილდღეობისა, თავდაჯერებულობისა და ა.შ. ამ დროს ყალიბდება ის სოციალური უნარები, რომლებიც ბავშვს სხვებთან კომუნიკაციასა და თანაცხოვრებას ასწავლის; ასევე ემოციური უნარები, როგორებიცაა სხვისი და საკუთარი ემოციების აღქმა, გამოხატვა, მართვა და ა.შ. აღნიშნული უნარების სწორად ჩამოყალიბება ეხმარება ბავშვს იგრძნოს თავი მშვიდად, განვითარდეს და გამოავლინოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმალური პოტენციალი, როგორც ბავშვობის ასაკში, ასევე მომავალ ცხოვრებაში.

სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი და პასუხისმგებლობა აქვთ იმ ზრდასრულებს, რომლებიც ბავშვის ირგვლივ არიან. მშობელი, ოჯახის წევრი, სკოლამდელი დაწესებულების განათლების სპეციალისტი, დაწყებითი განათლების მასწავლებელი და სხვა პირები, ქმნიან ბავშვის სოციალურ გარემოს. ბავშვები ადრეულ ასაკში სწორედ უფროსების დახმარებით, სხვათა იმიტაციით, გაზიარებით, სხვადასხვა პრობლემის ერთობლივად გადაჭრით, პოზიტიური კომუნიკაციით და ინტერაქციით სწავლობენ და იძენენ თვითკომპეტენტურობის განცდას.

ბავშვის ემოციური კეთილდღეობა დამოკიდებულია ბავშვის მიერ შეცდომის დაშვების შემთხვევაში ზრდასრულის რეაგირების ფორმაზე, მის მიერ ბავშვის ემოციების მიმღებლობაზე, ბავშვისთვის რთულ სიტუაციაში გამოხატულ მხარდაჭერაზე. ბავშვები სხვების რეაქციით სწავლობენ, თუ როგორ გაუმკლავდნენ ამა თუ იმ სიტუაციას, როგორ მართონ ემოციები, როგორ მოაგვარონ კონფლიქტი და გადაჭრან პრობლემები. მოდელირება, მიმღებლობა, კეთილგანწყობა, საუბარი და განხილვა, არასრული ჩამონათვალია იმ მხარდაჭერისა, რომელიც ესაჭიროება ბავშვს სოციალური და ემოციური განვითარებისათვის.

დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ–ჩვევები

დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევები ადამიანის ფუნქციონირებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. აღნიშნული უნარ-ჩვევები გულისხმობს ფლობას ისეთი უნარებისას, როგორებიცაა საკუთარ თავზე ყოველდღიურად ზრუნვა (პირადი ჰიგიენის დაცვა, კვება, ჩაცმა და ა.შ.), საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი უნარები (ფულის მართვა, საქმლის მომზადება, ტრანსპორტის გამოყენება და ა.შ.), დამოუკიდებლად გამოწვევებთან გამკლავება, დამოუკიდებლად პრობლემის გადაჭრა, ინფორმაციის მოძიება, გადაწყვეტილების მიღება, საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერის მოთხოვნა და ა.შ.

დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევები ადრეული ასაკიდანვე ვითარდება. მაგალითად, როდესაც მშობლები წაახალისებენ ბავშვს თავად აირჩიოს და მიიღოს გადაწყვეტილება თუ რა ტიპის საკვები სურს ან რომელ გასართობ ცენტრში სურს დაბადების დღის გადახდა.

სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევების განვითარება ადრეული ასაკიდანვე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ხშირად კი პირიქით ხდება, მშობლისა თუ ბავშვის გარშემო მყოფი სხვა პირების მიერ გაწეული ჰიპერმზრუნველობის გამო, ბავშვის არსებული უნარებიც კი გამოუყენებელი რჩება. ბავშვს ხშირად არ ეძლევა შესაძლებლობა დამოუკიდებლად განახორციელოს ესა თუ ის აქტივობა ან დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება. შედეგად, ზრდასრულ ასაკშიც ის სხვებზე მნიშვნელოვნად დამოკიდებელი რჩება.

იმისათვის, რომ უფროსებმა (მშობელი, განათლების სპეციალისტი, თერაპევტი და ა.შ.) ბავშვი ადრეული ასაკიდანვე მოამზადონ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის და განუვითარონ ამისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, მათ უნდა:

- ✓ მისცენ ბავშვს საშუალება დამოუკიდებლად განახორციელოს ასაკობრივი აქტივობები, იმ სახით, რა სახითაც ბავშვს შეუძლია (მაგ: მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი დამოუკიდებლად ჭამის დროს შეიძლება ძალიან ისვრებოდეს, მაინც მისცენ თავად ჭამის შესაძლებლობა);
- ✓ წაახალისონ ბავშვის მიერ არჩევნის გაკეთება, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება შესაბამისი დროის და მხარდაჭერის უზრუნველყოფით;
- ✓ დაეხმარონ ბავშვს საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გააზრებაში, გაამხნევონ და წაახალისონ ბავშვის დამოუკიდებელი ქმედებები და მცდელობები;

აღნიშნული ეხმარება ადამიანს გახდეს დამოუკიდებელი, ზრდასრული, ჰქონდეს ადეკვატური თვითშეფასება და თვითკომპეტენტურობის განცდა, საჭიროების შემთხვევაში მიმართოს დახმარებისთვის შესაბამის უწყებასა თუ ადამიანს, განაგოს საკუთარი ფინანსები, იზრუნოს საკუთარ თავზე დამოუკიდებლად, დაიცვას საკუთარი უფლებები.

სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობა

ნაწილში წარმოდგენილია სხვადასხვა დარღვევით განპირობებული სპეციალური საჭიროებების მოკლე მიმოხილვა და თითოეულ მდგომარეობასთან დაკავშირებული ტრანზიციის ხელშეწყობის რეკომენდაციები.

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული რეკომენდაციები ზოგადი ტიპისაა და მხოლოდ საორიენტაციო ხასიათს ატარებს. ცალკეული ბავშვის შემთხვევაში, ტრანზიციაში ჩართულმა პირებმა ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებითა და შესაძლებლობებით უნდა იხელმძღვანელონ, ისევე, როგორც მის გარშემო არსებული კონტექსტის თავისებურებებით.

როგორც უკვე აღინიშნა, ტრანზიციის პროცესი, როგორც ბავშვის, ასევე, გარემოს - ოჯახი, საგანმანათლებლო კონტექსტი, მოსამზადებელ აქტივობებს მოიცავს.

ტრანზიციის ხელშემწყობი აქტივობები შეიძლება განსხვავდებოდეს, როგორც კონკრეტული ბავშვისა და ოჯახის სპეციფიკური საჭიროებების, ასევე, მიმღები გარემოს და მასში არსებული რესურსებისა და ბარიერების მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ ტრანზიცია კონკრეტული ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებით წარმართული და შესაბამისად, ყოველი ბავშვის შემთხვევაში უნიკალური პროცესია, სხვადასხვა მდგომარეობასა და საგანმანათლებლო საჭიროებასთან, ტრანზიციის მხარდამჭერი გარკვეული პროცედურები ასოცირდება.

გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა მდგომარეობასთან დაკავშირებული ხელშეწყობების ზოგადი ნუსხის არსებობის მიუხედავად, ცალკეული ბავშვის ტრანზიციის პროცესში, აუცილებლად კონკრეტული ბავშვისთვის შესაბამისი ხელშეწყობა უნდა განისაზღვროს შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით.

გზამკვლევის მოცემულ ნაწილში წარმოდგენილია ტრანზიციის ხელშემწყობი ზოგადი პროცედურები მიმართებით იმ საგანმანათლებლო საჭიროებებთან, რომლებიც განპირობებულია:

- ინტელექტუალური სირთულეებით;
- სოციალურ-ემოციური სირთულეებით;
- აუტიზმის სპექტრის მდგომარეობასთან დაკავშირებული სირთულეებით;
- მოტორული სირთულეებით;
- სმენის სირთულეებით;
- მხედველობის სირთულეებით.

მოტორული/ფიზიკური სირთულეების მქონე ბავშვის ტრანზიციის ხელშეწყობა

მოტორული უნარის შეზღუდვა, მოიცავს სირთულეების საკმაოდ ფართო სპექტრს, რომელიც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა მდგომარეობით შეიძლება იყოს განპირობებული (მაგ.: ბავშვთა ცერებრული დამბლა, თავის ტვინის ტრავმული დაზიანება, ზურგის ტვინის დაზიანება, კუნთოვანი დისტროფია, ორთოპედიული პრობლემები და ჩონჩხ-კუნთოვან სისტემასთან დაკავშირებული სხვა მდგომარეობა).

მოტორული სირთულეები, შეიძლება, ვლინდებოდეს როგორც მსხვილი, ასვე ნატიფი მოტორული უნარების მხრივ და ზღუდავდეს ბავშვის მიერ სხვადასხვა მოტორული აქტის და მანიპულაციის წარმატებულად განხორციელების შესაძლებლობას;

შესაბამისად, მოტორული სირთულეების გამო, ბავშვი, შესაძლოა, ვერ იღებდეს საჭირო გამოცდილებას, არ იყოს ჩართული ასაკობრივ აქტივობებში, ვერ გადაადგილდებოდეს სივრცეში დამოუკიდებლად და ა.შ.

მოტორული სირთულეები შემდეგ ასპექტებში შეიძლება ვლინდებოდეს:

- წონასწორობის შენარჩუნება ჯდომისა და/ან დგომის დროს, პოზის სტაბილიზაცია;
- ფუნქციური გადაადგილება - სიარული, სირბილი, კიბეზე ასვლა-ჩასვლა, გადასვლა/ გადაჯდომა;
- ზედა კიდურების გამოყენება სრული სიფართით;
- სასწავლო და ყოველდღიური, საყოფაცხოვრებო მასალის გამოყენება;
- თითების იზოლირებულად გამოყენება და მცირე ზომის საგნებით მანიპულირება;
- საკუთარი მოძრაობების კონტროლი და კოორდინირება (ადგილი შეიძლება ჰქონდეს კუნთთა ტონუსის ცვლილებას, ტრემორს და უნებლიე მოძრაობებს);
- სახის მიმიკის და ორალურ-მოტორული კონტროლი;
- თვალისა და ხელის, სხეულის ორივე მხარის კოორდინირებულად გამოყენება;
- ფიზიკური გამძლეობა და შესაბამისი ძალისა და ტემპის გამოყენება მოტორული აქტის განხორციელებისას;
- საგნების სივრცეში გადატანა და სხვა.

ამ და მოტორული სფეროს სხვა ასპექტებში არსებულმა სირთულეებმა, მნიშვნელოვნად ნეგატიური გავლენა შეიძლება იქონიოს ბავშვის საგანმანათლებლო სივრცეში წარმატებულ ფუნქციონირებასა და სასწავლო პროცესში ეფექტიან ჩართულობაზე. მაგალითად, ბავშვს, შესაძლოა, უჭირდეს დაფასთან დგომა და დაფაზე წერა, საწერი, სახატავი საშუალებების, მაკრატლის და სხვა ხელსაწყოების გამოყენება, წიგნის გადაფურცვლა, კომპიუტერის გამოყენება, კლასში მიმდინარე აქტივობებზე კონცენტრირება და მასწავლებლისა და თანატოლებისთვის თვალის მიდევნება, წერითი პროდუქტის შექმნა, შესაბამისი მიმიკის გამოყენება, მეტყველება, სხვებთან კომუნიკაციის დამყარება და დასვენებების დროს თანატოლებთან ერთად გართობა, წამოდგომა, გადაჯდომა, სასწავლო გარემოს ერთი სივრციდან მეორეში გადასვლა, თვითმომსახურების აქტივობების შესრულება, შესაბამისი მიმიკის გამოყენება კომუნიკაციისას. ამასთანავე, შესაძლოა, გამოვლინდეს ტკივილი და დისკომფორტი.

მოტორული/ფიზიკური სირთულეების მქონე ბავშვის სკოლაში ტრანზიციისას გასათვალისწინებელი ასპექტები

გარემოსთან მიმართებით:

- ✓ ფიზიკური გარემოს მორგება (შენობის შესასვლელი, სველი წერტილი, ოთახების/კარის ზღურბლები, კედლის გაყოლებაზე ძელები და სხვა) ბავშვის უსაფრთხოებისა და სხვადასხვა სივრცეზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით;
- ✓ საკლასო ოთახის და კლასში ბავშვის განთავსების შერჩევა;
- ✓ ადაპტირებული ავეჯის შერჩევა/მომზადება;
- ✓ ადაპტირებული დამხმარე საშუალებების/მოწყობილობების შერჩევა/მომზადება (მაგ.: ადაპტირებული საწერი კალამი, მაკრატელი, ფურცლის დასაფიქსირებელი, კომპიუტერის აქსესუარები და სხვა);
- ✓ კომუნიკაციის ალტერნატიული და გაფართოებული საშუალების (დაბალი ან მაღალი ტექნოლოგიის) შერჩევა/მომზადება და გამოყენების სწავლება;
- ✓ დამხმარე გადაადგილების საშუალების შერჩევა/უზრუნველყოფა (მაგ.:ეტლ-სავარძელი, გადასაადგილებელი ჩარჩო);
- ✓ ტრანსპორტით უზრუნველყოფა (გადაადგილების გამოხატული სირთულეების მქონე ბავშვის შემთხვევაში);
- ✓ ადაპტირებული ტანისამოსის შერჩევა (მაგ.: ფხრიწიანი ფეხსაცმელი, შარვალი რეზინის სათავით, მარტივად გასახსნელი ქურთუკი და სხვა) რაც სასწავლო გარემოში დამოუკიდებლად ფუნქციონირებას გაუადვილებს;
- ✓ სპეციალური მასწავლებლის, სხვა დამხმარე სპეციალისტების დაქირავება (საჭიროების შემთხვევაში) და მომზადება კონკრეტული ბავშვისთვის სწორი ხელშეწყობის გაწევის კუთხით;
- ✓ პერსონალური ასისტენტით უზრუნველყოფა და კონკრეტული ბავშვისთვის სწორი ასისტირების გაწევის კუთხით მომზადება;
- ✓ კლასის დამრიგებლის და სხვა მასწავლებლის მომზადება - ბავშვის საჭიროებების შესახებ ინფორმირება და კონკრეტული ბავშვის სასწავლო პროცესში სწორი ხელშეწყობის გაწევის კუთხით გაძლიერება;
- ✓ თანატოლების, თანაკლასელების მშობლების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება;
- ✓ მშობლებთან მუშაობა, დამხმარე მოწყობილობების მიმართ სწორი დამოკიდებულების ფორმირების ხელშეწყობა, ბავშვის დამოუკიდებლად ფუნქციონირების ხელშეწყობა ზემზრუნველობის სანაცვლოდ, ემოციური მხარდაჭერა ბავშვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შფოთვების დასაძლევად და სხვა.

ბავშვთან მიმართებით:

- ✓ შესაბამისი სფეროს სპეციალისტების და მშობლების მიერ ბავშვის მოტორული უნარების განვითარება/გაძლიერება;
- ✓ თვითმომსახურების უნარების გაძლიერება და დამოუკიდებლობის გაზრდა;
- ✓ ბავშვისთვის შერჩეული დამხმარე საშუალებების/მოწყობილობების გამოყენების სწავლება;
- ✓ ახალ საგანმანათლებლო გარემოში ფუნქციური მობილობის სწავლება (მაგ. ეტლით მანევრირება, ტუალეტის გამოყენება-ტრანსფერი და სხვა);
- ✓ უსაფრთხოებისთვის აუცილებელი უნარების გაძლიერება;
- ✓ ახალ გარემოში ორიენტაციის, ფუნქციური მობილობის ხელშეწყობა და სხვა;

სმენასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე ბავშვის ტრანზიციის ხელშეწყობა

ტერმინი ***„სმენის დარღვევა"*** აერთიანებს სმენის დაზიანების ნებისმიერ ტიპსა და ხარისხს. ბავშვს, შესაძლოა, ჰქონდეს სმენის დაქვეითება ან სმენის სრული დაკარგვა (სიყრუე). ამასთანავე, ყრუ ბავშვების გარკვეული ნაწილი კოხლეარული იმპლანტით სარგებლობს.

ნარჩენი სმენის შემთხვევაშიც, ადამიანი, შესაძლოა, ფუნქციურად ყრუ იყოს, რაც გულისხმობს, რომ ნარჩენი/არსებული სმენის ფუნქციურად გამოყენება ვერ ხდება.

დაქვეითებული სმენა უკავშირდება სმენის სირთულეს, რომელიც ნაწილობრივ (სხვადასხვა ხარისხით) უზღუდავს ბავშვს ზეპირი მეტყველების გაგებისა და გამოყენების შესაძლებლობას.

სიყრუე უკავშირდება სმენის ძლიერად გამოხატულ სირთულეს, რომელიც უზღუდავს ბავშვს ზეპირი მეტყველების გაგებისა და სწავლის/გამოყენების შესაძლებლობას და ჟესტური ენით კომუნიკაციის საჭიროებას ქმნის.

რაც შეეხება *კოხლეარული იმპლანტის მქონე ბავშვს,* მას შესაძლოა ესმოდეს ხმოვანი ინფორმაცია, მათ შორის ზეპირი მეტყველებაც, მაგრამ შეზღუდული იყოს ინფორმაციის გაგება და გამოყენება, რომელიც ბავშვს განვითარებისა და განათლების პროცესში მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის, თუ შესაბამისი ხელშეწყობები არ არსებობს.

გასათვალისწინებელია, რომ სმენის მინიმალურმა დარღვევამაც კი, საკმაოდ ნეგატიურად შეიძლება იმოქმედოს ბავშვის განვითარებასა და სწავლაზე, აკადემიურ მიღწევებსა და საგანმანათლებლო ჩართულობაზე. ხშირად, დიდია განსვლა ბავშვის უნარებს/შესაძლებლობებსა და მიღებულ ცოდნას შორის.

სმენის დარღვევის მქონე ბავშვების ნაწილისთვის, ძირითად საკომუნიკაციო საშუალებას, შესაძლოა, ზეპირი მეტყველება წარმოადგენდეს, ნაწილისთვის კი, ზეპირი მეტყველება ჟესტების თანხლებით ან მხოლოდ ჟესტური ენა. შესაბამისად, კომუნიკაციისა და განათლების პროცესში, სმენის დარღვევის მქონე ბავშვები განსხვავებულ მიდგომებსა და მხარდაჭერას საჭიროებენ.

სმენის დარღვევის მქონე ბავშვების სწავლასა და განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებები, ძირითადად გარშემომყოფებსა და ბავშვს შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარების და ბავშვის მიერ ლინგვისტური ინფორმაციის სრულყოფილად აღქმისა და დამუშავების სირთულით არის განპირობებული. ასეთ შემთხვევაში, ბავშვი ზეპირი მეტყველებისგან განსხვავებულ საკომუნიკაციო საშუალებებს საჭიროებს.

სმენის დარღვევის მქონე ბავშვები, სკოლაში საკმაოდ განსხვავებული წინარე გამოცდილებითა და ენისა და კომუნიკაციის შესაძლებლობით მიდიან, რაც ადრეულ ასაკში ენაზე განსხვავებული ხელმისაწვდომობით არის განპირობებული:

1. ადრეული ასაკიდან ჟესტურ ენაზე სრული წვდომა (ბავშვთა ყველაზე მცირე ჯგუფი, დაახლოებით 10%);
2. ნაწილობრივი წვდომა ზეპირ მეტყველებაზე (ბავშვის სმენითი შესაძლებლობებიდან გამომდინარე);
3. ერთდროული, მაგრამ, შესაძლოა, ნაწილობრივი წვდომა ჟესტურ ენასა და ზეპირ მეტყველებაზე (ბავშვები, რომლებსაც აქვთ ჟესტური ენის გამოცდილება და ასევე იღებენ გარკვეულ აუდიტორულ სარგებელს სასმენი აპარატების ან კოხლეარული იმპლანტისგან);
4. შეზღუდული ან არანაირი წვდომა არც ერთ საკომუნიკაციო ენაზე (არც ჟესტურ ენასა და არც ზეპირ მეტყველებაზე).

სირთულეები, რომლებიც სმენის დარღვევასთან ასოცირდება:

- სხვადასხვა ხმის, ზეპირი მეტყველების გარჩევისა და გაგების სირთულე;
- მეტყველების გამოყენების (ხმა ძალიან მაღალი ან დაბალი, გარკვეული ბგერების გამოტოვება, არტიკულაციის პრობლემა და ა.შ.) სირთულე;
- ვერბალური ინსტრუქციების გაგება/მიდევნების სირთულე ;
- ჯგუფურ საუბრებში, დისკუსიებში მონაწილეობის, დისკუსიების დროს ყურადღების ერთი მოსაუბრიდან მეორეზე გადატანის სირთულე;
- ცნებების, კატეგორიების, მეტაფორების, იდიომების გაგება/გამოყენების სირთულე;
- მწირი ლექსიკური მარაგი, როგორც რეცეპტული, ასევე ექსპრესიული მეტყველების მხრივ;
- სიტყვის, წინადადების წარმოების, გრამატიკული სტრუქტურების გამოყენების სირთულე;
- ენის/მეტყველების სოციალურ კონტექსტში სწორად გამოყენების (ენის პრაგმატული მხარე) სირთულე
- ენის/მეტყველების მოქნილად გამოყენების სირთულე;
- გარემოში არსებული ფონური ხმების დაიგნორების და სამიზნე ხმოვან სტიმულზე კონცენტრირების სირთულე;
- ყურადღების საჭირო დროით შენარჩუნების, საკმარისი ფსიქიკური გამძლეობის სირთულე;

გასათვალისწინებელია, რომ ბავშვის სმენის შესაძლებლობა გარემოს მიხედვით ვარირებს და დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა:

- გარემოში არსებული ფონური ხმები/ხმაური;
- მოსაუბრეთა რაოდენობა;
- დისტანცია მოსაუბრეებს შორის ;
- ბავშვის განთავსება და სხვა.

სმენის სირთულის მქონე ზოგიერთი ბავშვის შემთხვევაში, დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენებას სასწავლო პროგრამასა და პროცესზე ხელმისაწვდომობის გაზრდა შეუძლია, ხოლო ზოგიერთ ბავშვს, რომლისთვისაც ენა ძირითადად ვიზუალური არხით/ფორმით არის ხელმისაწვდომი, კურიკულუმზე წვდომისთვის ჟესტური ენის გამოყენება სჭირდება, სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია, რომ ბავშვისთვის არ არსებობდეს კომუნიკაციური და ენობრივი ბარიერი.

სმენასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე ბავშვების სკოლაში ტრანზიციისას გასათვალისწინებელი ასპექტები

გარემოსთან მიმართებით:

- ✓ მასწავლებლის და სპეციალისტის გაძლიერება სმენის დარღვევის მქონე ბავშვის სწავლა-სწავლების სტრატეგიებსა და ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: სასმენი აპარატის/კოხლეარული იმპლანტის მუშაობის მონიტორინგი სასწავლო პროცესში, ბავშვისთვის სწორი განთავსების უზრუნველყოფა, განთავსება ბავშვთან მიმართებით, ბავშვის ყურადღების მართვის ხელშეწყობა, შესვენების უზრუნველყოფა ბავშვის გადაღლისგან დასაცავად, დისკუსიების მართვა საკლასო ოთახში, ვიზუალური მასალის გამოყენება და სხვა;
- ✓ ოჯახის წევრების ცნობიერების ამაღლება ჟესტურ ენასთან მიმართებით და ჟესტური ენის სწავლება ბავშვთან ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად; მშობლებისთვის ბავშვის სწავლის ხელშეწყობის და მხარდაჭერის ეფექტური სტრატეგიების სწავლება;
- ✓ ყრუ მშობლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ტრანზიციის პროცესის და ახალი გარემოს შესახებ ჟესტური ენის თარჯიმნის დახმარებით;
- ✓ მასწავლებლისა და დამხმარე სპეციალისტებისთვის საკომუნიკაციო ჟესტური ენის სწავლება;
- ✓ ქუჩისა, თუ სკოლის შენობის სხვადასხვა მხრიდან შემომავალი ხმაურისგან მაქსიმალურად დაცული საკლასო ოთახის შერჩევა და საჭიროების შემთხვევაში, გარემოს მომზადება, აკუსტიკის მორგება, შესაბამისი ფარდები, სკამების ფეხებზე რბილი მასალა, იატაკის რბილი საფარი, რელევანტური განათება, ვიზუალური „ზარი“ (ნათურა) და სხვა;
- ✓ უსაფრთხოების ვიზუალური მიმანიშნებლების/ვიზუალური სისტემის უზრუნველყოფა სკოლის გარემოში;
- ✓ ჟესტური ენის მასწავლებლის/თარჯიმნის შერჩევა და დაქირავება სასწავლო პროცესისთვის;
- ✓ სხვა დამხმარე სპეციალისტის მაგ. მეტყველების თერაპევტის შერჩევა და დაქირავება;
- ✓ სხვა მოსწავლეების/თანატოლების მომზადება სმენის დარღვევის მქონე ბავშვთან კომუნიკაცია/ინტერაქციის კუთხით;
- ✓ ხმის გამაძლიერებელი სისტემით უზრუნველყოფა (მაგ.: ბავშვის სასმენ აპარატთან ან კოხლეარულ იმპლანტთან დაკავშირებული რადიოგადამცემი და მიკროფონი, რომელსაც თანაკლასელები გამოიყენებენ საუბრისას); ჯგუფური გამაძლიერებელი სისტემების უზრუნველყოფა (როცა კლასში 1-ზე მეტი ბავშვია სმენის შეზღუდვით);
- ✓ კლასის ინტერაქტიული თეთრი დაფით (სმარტ-დაფა) და სხვა ტექნოლოგიებით აღჭურვა, რომელიც სასწავლო მასალაზე, კურიკულუმზე ბავშვის ხელმისაწვდომობას გაზრდი;
- ✓ რესურს ოთახის შესაბამისი, დამხმარე სასწავლო მასალით და მოწყობილობებით აღჭურვა, რაც ბავშვისთვის დამხმარე ვიზუალური სასწავლო მასალის მომზადებისთვის არის მნიშვნელოვანი (მაგ.: ფერადი პრინტერი, ლამინირების აპარატი და ა.შ.);
- ✓ სამომავლო ერთობლივი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად სკოლის მიერ ყრუთა თემთან კავშირის და თანამშრომლობის დამყარება, რომელიც ბავშვის თვითიდენტობისა და მიკუთვნებულობისათვის არის მნიშვნელოვანი.

ბავშვთან მიმართებით:

- ✓ ბავშვის კომუნიკაციური და ენობრივი უნარების განვითარება, საჭიროების შემთხვევაში ჟესტური ენის სწავლება;
- ✓ ლექსიკური მარაგის გაზრდა-გაძლიერება;
- ✓ სმენის გამოყენების/მართვის უნარის ხელშეწყობა;
- ✓ სმენის აპარატზე ზრუნვის და მისი დაუზიანებლად/უსაფრთხოდ გამოყენების სწავლება (სასმენი აპარატით მოსარგებლე ბავშვის შემთხვევაში);
- ✓ ჟესტური ენის/თარჯიმნის დახმარების გამოყენების სწავლება;
- ✓ საკუთარი ვიზუალური ყურადღების მართვის სწავლება - მოსაუბრეზე ყურადღების მიმართვა, მოსაუბრიდან მოსაუბრეზე გადატანა, შენარჩუნება და ა.შ.
- ✓ თვითადვოკატირების უნარის განვითარება, დახმარების მოთხოვნა, როცა რაიმე არ არის გასაგები გამეორების თხოვნა და ა.შ.
- ✓ ახალი გარემოს და წესების გაცნობა ვიზუალური ხელშეწყობის გამოყენებით;
- ✓ თვითიდენტობის, მიკუთვნებულობის ხელშეწყობა და სხვა.

მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის ტრანზიციის ხელშეწყობა

მხედველობის დარღვევა ვიზუალური ინფორმაციის დანახვის სირთულეებს უკავშირდება და ორ ძირითად მდგომარეობას მოიცავს: 1. უსინათლოობას და დაქვეითებულ მხედველობას/მცირემხედველობას; თუმცა, შესაძლოა, ადამიანი ფუნქციური უსინათლოც იყოს, რაც გულისხმობს, რომ მას ნარჩენი მხედველობის ფუნქციურად გამოყენება არ შეუძლია.

უსინათლო ბავშვს არ შეუძლია მხედველობის გამოყენებით სწავლა, ადამიანებისა და საგნების იდენტიფიცირება. თუმცა, შესაძლოა განარჩევდეს სინათლესა და სიბნელეს და ზოგ შემთხვევაში, გარკვეულ ფორმებსაც. მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანების მხოლოდ მცირე ნაწილი არის ტოტალურად უსინათლო.

უსინათლო ბავშვს ექმნება სივრცეში გადაადგილების, წერის, კითხვისა და ყოველდღიური აქტივობების დამოუკიდებლად განხორციელების სირთულეები თუ შესაბამისი ხელშეწყობა არ არის. უსინათლო ბავშვი ძირითადად, ტაქტილური და აუდიტორული შეგრძნებების/არხების საშუალებით სწავლობს.

მცირემხედველ ბავშვს, შესაძლოა, უჭირდეს ვიზუალური დავალებების/ამოცანების შესრულება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხედველობის კომპენსატორული საშუალებაა (მაგ.: სათვალე) გამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ მცირემხედველ ბავშვს ექმნება სირთულეები აკადემიური და ფუნქციური აქტივობების დროს, მას შეუძლია მხედველობის არხზე დაფუძნებით სწავლა სხვადასხვა დამხმარე საშუალების/ტექნოლოგიის დახმარებით.

გამომდინარე იქიდან, რომ მხედველობის დარღვევის შემთხვევაში შეზღუდულია მხედველობის საშუალებით გარემოს შესახებ ინფორმაციის, ცოდნისა და გამოცდილების მიღება, აღნიშნულმა მდგომარეობამ საკმაოდ ნეგატიური გავლენა შეიძლება იქონიოს ბავშვის კოგნიტურ, მოტორულ და სოციალურ განვითარებაზე, სწავლასა და დამოუკიდებელ ფუნქციონირებაზე.

მხედველობის დარღვევით გამოწვეული სირთულეები შემდეგ ასპექტებს შეიძლება უკავშირდებოდეს:

- არავერბალური კომუნიკაციის/მიმიკის ეფექტიანად გამოყენება (რადგან არ აქვს სხვების არავერბალური გამოხატულებების დანახვის შესაძლებლობა);
- მიზეზ-შედეგობრივი კავშირების, მიმართებების დამყარება, სიტყვების საგნებთან დაკავშირება, აბსტრაქტული ცნებების გაგება/გამოყენება, ცნებების და ენის განვითარება;
- ტაქტილური ზემგრძნობელობა;
- სხეულის აღქმა, სხეულის სქემაში გაცნობიერებულობა, მხარეების, მიმართულებების გარჩევა, სივრცითი ორიენტაცია, სივრცის, მოძრაობების აღქმა;
- პოზის კონტროლი, მოძრაობების კოორდინაცია, ფიზიკური გამძლეობა, კუნთთა ტონუსი, ფიზიკური გამძლეობა, სიარულის სპეციფიკური მანერა, სივრცეში დამოუკიდებლად გადაადგილება;
- ნატიფი მოტორიკის გამოყენება საგნებით მანიპულირებისას;
- უმოძრაო საგნების შემჩნევა;
- საგნების იდენტიფიკაცია და ილუსტრაციაზე მრავალი დეტალის შემთხვევაში, საგნის გამორჩევა და სხვა.

როგორც მხედველობის ტოტალურმა დაკარგვამ, ასევე დაქვეითებამ, ცალკეული ბავშვის შემთხვევაში, შესაძლოა, საკმაოდ განსხვავებული გავლენა იქონიოს მის სწავლაზე, ყოველდღიური აქტივობების განხორციელებაზე, მობილობასა და სოციალურ ინტერაქციაზე.

შესაბამისად, ტრანზიციის დაგეგმვისას აუცილებელია კონკრეტული ბავშვის საჭიროებებისა და შესაძლებლობების განსაზღვრა, ისევე, როგორც გარემოს შეფასება მასში არსებული ბარიერების შესამცირებლად და ბავშვისთვის ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო სკოლის გარემოს უზრუნველყოფა.

მხედველობის სირთულეების მქონე ბავშვების ტრანზიციისას გასათვალისწინებელი ასპექტები

გარემოსთან მიმართებით:

- ✓ სკოლის ფიზიკური გარემოს მორგება ბავშვის უსაფრთხო და დამოუკიდებელი გადაადგილებისთვის (მაგ.: ტაქტილური, ვიზუალური და ბრაილის მიმანიშნებლის, „ათვლის წერტილების“, სტრატეგიულ ადგილებში კონტრასტების გაკეთება, პოტენციური საფრთხის შემცველი საგნების მოცილება, ავეჯზე წვეტიანი კიდეების მორგება, კიბის უჯრედებზე, გასასვლელში რეზინის ან კორპის რბილი საფარის გამოყენება, და ა.შ.);
- ✓ კლასის და კლასში შესაბამისი განთავსების შერჩევა, საკლასო სივრცის მორგება (მაგ.: განათება, ფარდები, ზედმეტი ვიზუალური სტიმულის მოცილება, საგნების განთავსება ბავშვისთვის ხელმისაწვდომ დისტანციაზე, ხელსაყრელი სმენითი გარემოს შექმნა - ზედმეტი აუდიო გამღიზიანებლების დახშობა, როგორიცაა ქუჩიდან შემოსული ხმაური და ა.შ.);
- ✓ მასწავლებლის/ების გაძლიერება მხედველობის სირთულეების მქონე ბავშვის სწავლა-სწავლების საკითხებში, როგორებიცაა: სასწავლო პროცესში ჩართვის ხელშეწყობა, მასალის და აქტივობების მორგება, სწორი მხარდაჭერა, ეფექტური კომუნიკაციის დამყარება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ინფორმაციის წარდგენა, კლასში დისკუსიების მართვა და ა.შ;
- ✓ ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მომზადება/გაძლიერება მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის სწავლა-სწავლების მხარდაჭერის საკითხებსა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სპეციალისტის დაქირავება, მათ შორის, მობილობისა და სივრცეში ორიენტაციის სპეციალისტისა;
- ✓ თანატოლების მომზადება მხედველობის სირთულის მქონე ბავშვთან კომუნიკაციის, უსაფრთხო და ეთიკური ურთიერთობის მიმართულებით;
- ✓ თანატოლების მშობლებისა და სკოლის თემის სხვა დანარჩენი წევრების ცნობიერების ამაღლება მხედველობის სირთულეების მქონე ბავშვის საჭიროებების, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ეთიკური ურთიერთობის საკითხებში;
- ✓ ავეჯის შერჩევა/მომზადება (მაგ.: მერხის შედარებით დიდი და მოსახერხებელი ზედაპირის, შემაღლებული გვერდების მქონე მერხი, წიგნის დასადები, მუქი და ხარისხიანი ზედაპირის დაფა, სკამი, რომელიც გამართულ და მოსახერხებელ პოზას უზრუნველყოფს, ინდივიდუალური სანათის შერჩევა/გამოყენება);
- ✓ ბრაილის საწერი მოწყობილობის და ბრაილის გამოყენებისთვის საჭირო დამატებითი მოწყობილობების შეძენა (მაგ.: ბრაილის მთარგმნელი პროგრამა, ბრაილის საბეჭდი და ა.შ.);
- ✓ სხვა დამხმარე ტექნოლოგიების შერჩევა (მაგ.: ელექტრონული საკითხავი გამადიდებელი საშუალება/ეკრანი (CCTV), ეკრანის წამკითხველი პროგრამები კომპიუტერის გამოსაყენებლად, ხმის ჩამწერი მოწყობილობა, ხმოვანი კალკულატორი;
- ✓ აუდიო წიგნების მომზადება/გამოყენება (ძირითადი სახელმძღვანელოების აუდიოვერსიების მომზადება);
- ✓ მშობლებისთვის ბავშვის სწავლისა და განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების/ტექნიკების სწავლება და მშობლების ცნობიერების გაძლიერება ბავშვისთვის მეტი ავტონომიის მიცემის (ზემზრუნველობის სანაცვლოდ) და დამოუკიდებლად ფუნქციონირებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების სტიმულირების კუთხით.

ბავშვთან მიმართებით:

- ✓ ნარჩენი მხედველობის ფუნქციურად გამოყენების სტიმულაცია;
- ✓ აუდიო დისკრიმინაციის/გარჩევის უნარის გაძლიერება, სმენის გამოყენების სწავლება, მოსმენის უნარის განვითარება;
- ✓ ტაქტილური არხის გამოყენების სტიმულაცია, ტაქტილური დისკრიმინაციის/გარჩევის უნარის გაძლიერება, საჭიროების შემთხვევაში, ზემგრძნობელობის დათრგუნვა;
- ✓ სივრცეში ორიენტაციისა და მობილობის უნარების განვითარება და კლასის/სკოლის გარემოში დამოუკიდებლად და უსაფრთხოდ გადაადგილების, თავდაცვის და ძიების ტექნიკების, სკოლაში სამიზნე მარშრუტების სწავლება;
- ✓ ხელების გამოყენების, საგნებით მანიპულირების უნარის გაძლიერება;
- ✓ სხეულის ნაწილების, სხეულის სქემის სწავლება, მხარეების, მიმართულების გარჩევის ხელშეწყობა
- ✓ სოციალურად მისაღები ქცევის ფორმირების, ემოციების შესაბამისად გამოხატვის ხელშეწყობა, კომუნიკაციის არავერბალური გამოხატულებების და სხვებთან კომუნიკაციისას სხეულის შესაბამისად გამოყენების სწავლება; მხედველობითი კონტაქტის დამყარების სტიმულაცია (მცირემხედველი ბავშვის შემთხვევაში);
- ✓ სივრცული ცნებების განვითარების ხელშეწყობა, კოგნიტური უნარების გაძლიერება (მაგ.: მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება, მიმართებები, კლასიფიკაცია);
- ✓ ლინგვისტური განვითარების ხელშეწყობა (ანტონიმები, სინონიმები, მეტაფორები, და ა.შ.);
- ✓ თვითმომსახურების უნარ-ჩვევების განვითარების და დამოუკიდებლად ფუნქციონირების, ავტონომიის სტიმულაცია;
- ✓ საკუთარი სხეულისა და მოძრაობების გაცნობიერების, კოორდინაციისა და წონასწორობის განვითარების ხელშეწყობა, კისრის და ზურგის კუნთების გაძლიერება;
- ✓ ბრაილის და თეთრი ჯოხის გამოყენების სწავლება (უსინათლო ბავშვის შემთხვევაში);
- ✓ ბავშვისთვის შერჩეული დამხმარე მოწყობილობის გამოყენების სწავლება;
- ✓ სკოლის როგორც ფიზიკურ, ასევე სხვა მახასიათებლებზე (მაგ.: სკოლის პერსონალის როლები, რუტინა, წესები და ა.შ.) სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა.

სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობის შემთხვევები

გზამკვლევის მოცემულ ნაწილში წარმოდგენილია შემთხვევები, რომლებიც რამდენიმე ბავშვის სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობას აღწერს. აღნიშნულ შემთხვევებში გათვალსაჩინოებულია სხვადასხვა სისტემური რგოლისა და ტრანზიციასთან დაკავშირებული პირის ჩართულობა და მხარდაჭერის ტიპები.

წარმოდგენილი შემთხვევები სხვადასხვა ფორმატითაა შედგენილი, რათა ტრანზიციის პროცესში ჩართული პრაქტიკოსები არ შემოიფარგლონ რომელიმე კონკრეტული ფორმატით და ტრანზიციის პროცესის უზრუნველყოფისა და მონაცემების დოკუმენტირებისას, მაქსიმალური მოქნილობა შეინარჩუნონ.

გზამკვლევის მოცემულ ნაწილში შემთხვევებთან ერთად, გთავაზობთ პრაქტიკულ კითხვებს, რომლებითაც მკითხველს ცალკეული შემთხვევების გაცნობისას შეუძლია იხელმძღვანელოს.

კითხვები შემთხვევებზე რეფლექსიისთვის

შემთხვევების გაცნობისას რეკომენდებულია მკითხველმა შემდეგი კითხვებით იხელმძღვანელოს:

1. რა ძირითადი საჭიროება/გამოწვევები გამოიკვეთა მოცემული შემთხვევიდან? რა პოზიტიური ასპექტები გამოიკვეთა შემთხვიდან?
2. რა არის ბავშვის ძლიერი და შედარებით სუსტი მხარეები?
3. რა გავლენა შეიძლება იქონიოს გამოვლენილმა საჭიროებებმა ბავშვის შემდგომ სწავლასა და განვითარებაზე? (გთხოვთ, გაითვალისწინოთ განვითარების ყველა ასპექტი - სოციალური, კოგნიტური, ემოციური, ენობრივი, კომუნიკაციური, ფიზიკური და სხვა);
4. რა გავლენა შეიძლება იქონიოს გამოვლენილმა საჭიროებებმა ბავშვის თანატოლებთან და უფროსებთან ინტერაქციისას?
5. რა დამატებითი მხარდაჭერის საჭიროებები ვლინდება? რა ტიპის დახმარება ესაჭიროება ბავშვს ტრანზიცის პროცესში?

გეგმის შედგენისას გასათვალისწინებელი საკითხები:

- ☞ ძლიერი მხარეები და სფეროები, რომლებიც განვითარებას, მეტ გაძლიერებას საჭიროებს;
- ☞ ძირითადი სამიზნეები და სტრატეგიები, აქტივოებები/მეთოდები;
- ☞ გარემოსთან, პროგრამასთან, რუტინასთან და ა.შ. ადაპტაციის უზრუნველყოფა;
- ☞ საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა - პერსონალი, მასალა, დრო, ტექნიკური მხარდაჭერა და სხვა;
- ☞ ვინ უნდა იყოს ჩართული დაგეგმვისას და განხორციელებისას (სხვა პროფესიონალები, ოჯახი, სააგენტოები და ა.შ.);
- ☞ ბავშვის ინდივიდუალური ხედვა, პერსპექტივა ბავშვის მიერ სხვადასხვა საშუალებით გამოხატული;
- ☞ ოჯახის პერსპექტივა;
- ☞ წარმატების კრიტერიუმი, ინდიკატორი - როგორ უნდა შეფასდეს, გაიზომოს მიღწევები, შედეგები;
- ☞ მონიტორინგი და შეფასება - როგორ, როდის და ვის მიერ უნდა გადაფასდეს გეგმა;

I შემთხვევა:

ელენე 4 წლის და 9 თვის გოგონაა.

ელენე მშობლებთან ერთად ცხოვრობს და ოჯახში ერთადერთი ბავშვია.

3 წლის ასაკიდან ელენე უბნის საბავშვო ბაღში დადის. ბავშვი საკმაოდ თავდაჯერებულად ამყარებს კომუნიკაციას თავის ოჯახის წევრებთან, საბავშვო ბაღის პერსონალსა და თანატოლებთან.

5 თვის ასაკში ელენეს სმენის დარღვევა დაუდგინდა - 50 დბ ორივე ყურში. დაახლოებით 6 თვიდან ის ორივე ყურისთვის სასმენ აპარატებს მოიხმარს და კვირაში 2-ჯერ მეტყველების თერაპევტის მხარდაჭერით სარგებლობს ერთ-ერთ აბილიტაცია/რეაბილიტაციის ცენტრში.

ელენეს ენისა და მეტყველების განვითარების მხრივ საკმაოდ კარგი შედეგები აქვს, თუმცა, ამ მხრივ ის მაინც ჩამორჩება სმენის მქონე თანატოლებს. არსებული მწირი ლექსიკური მარაგის მაქსიმალურად გამდიდრება ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია ელენესთან მიმართებით. გარდა ამისა, საუბრისას ელენე გარკვეულ ბგერებს ტოვებს, თუმცა მისი მეტყველება მეტწილად გასაგებია მსმენელისთვის.

გარკვეულ სირთულეებს ელენე შედარებით ხმაურიან გარემოში და ჯგუფური აქტივობების დროს აწყდება. ელენესთვის ყველაზე დიდ გამოწვევას ჯგუფურ საუბრებში, დისკუსიებში მონაწილეობა და ყურადღების ერთი მოსაუბრიდან მეორეზე გადატანა წარმოადგენს. ასევე, ელენეს უჭირს გარემოში არსებული ფონური ხმების იგნორირება და სამიზნე ხმოვან სტიმულზე კონცენტრირება. მიუხედავად ამისა, ბავშვი მაქსიმალურად ცდილობს ვიზუალური უნარების და სხვათა არავერბალური მინიშნებების გამოყენებას შედარებით ხალხმრავალ და ხმაურიან სიტუაციებში დავალებების და ინსტრუქციების გასაგებად.

მომავალი წლიდან ელენე სკოლაში უნდა წავიდეს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ფსიქოლოგის ინიციატივით, დაიწყო ელენეს მომზადება ტრანზიციისთვის, რომელშიც ელენეს აღმზრდელი და მშობლებიც აქტიურად არიან ჩართულები.

ბავშვის მშობლებთან შეთანხმებით, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ფსიქოლოგმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს მიმართა ელენეს სკოლაში ტრანზიციის პროცესის მხარდასაჭერად

გუნდის წევრის მიერ დამატებით შეფასდა ბავშვის საჭიროებები. გარდა ამისა, მულტიდისციპლინურმა გუნდმა გარკვეული დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია შეასრულა ელენეს მშობლებს, საბავშვო ბაღსა და მომავალ სკოლას შორის.

ელენეს მშობლებმა მულტიდისციპლინური გუნდის წევრთან ერთად საცხოვრებელთან ახლომდებარე სამი სკოლა მოინახულეს. აღნიშნული სკოლებიდან არც ერთ სკოლას არ ჰქონდა სმენის დარღვევის მქონე ბავშვის სწავლების გამოცდილება.

ერთობლივად შეირჩა უბნის ერთ-ერთი საჯარო სკოლა, რომელმაც ელენეს მხარდაჭერის ყველაზე მაღალი მზაობა გამოავლინა. ამასთანავე, აღნიშნული სკოლა ელენეს საბავშვო ბაღთან ყველაზე ახლოს მდებარეობდა, რაც ორ დაწესებულებას შორის თანამშრომლობას და კოორდინირებულ მოქმედას შეუწყობდა ხელს.

სკოლის ადმინისტრაციის, კლასის მომავალი დამრიგებლის, ელენეს მშობლების, ბაღის ფსიქოლოგის, აღმზრდელ-პედაგოგის, სმენისა და მეტყველების თერაპევტისა და მულტიდისციპლინური გუნდის წევრის ერთობლივი საორიენტაციო შეხვედრის დროს გამოვლენილ საჭიროებებსა და გამოწვევებზე საპასუხოდ ელენეს ტრანზიციასთან დაკავშირებული გეგმა შედგა.

ელენეს ტრანზიციის ხელშემწყობი სამოქმედო გეგმა:

მიზანი:	აქტივობა:	პასუხისმგებელი პირი:
სკოლის სოციალური/ პროფესიული და ფიზიკური გარემო მომზადებულია ელენეს შესაბამისად მისაღებად და სასწავლო პროცესში ჩასართავად	მომავალი დამრიგებლის მომზადება სმენის დარღვევის მქონე ბავშვის სწავლა-სწავლების და, კონკრეტულად, ელენეს სასწავლო პროცესში ჩართვის ხელშეწყობის სტრატეგიებით (მაგ.: ბავშვთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება, სასმენი აპარატის მუშაობის მონიტორინგი, სწორი განთავსების უზრუნველყოფა, საკუთარი განთავსება ბავშვთან მიმართებით, ბავშვის ყურადღების მართვის ხელშეწყობა, შესვენების უზრუნველყოფა ბავშვის გადაღლისგან დასაცავად, დისკუსიების მართვა საკლასო ოთახში, ვიზუალური მასალის გამოყენება და სხვა).	- საბავშვო ბაღის ფქისოლოგი - მულტიდისციპლინური გუნდის წევრი - ელენეს სმენისა და მეტყველების თერაპევტი - მშობელი
	სპეციალური მასწავლებლის დაქირავება და საჭიროების შემთხვევაში, მისი პროფესიული გადამზადება	- სკოლის ადმინისტრაცია - მულტიდისციპლინური გუნდის წევრი/ები
	მასწავლებლის სახლისთვის მიმართვა, რათა სკოლაში ჩატარდეს ტრენინგი, „სმენის დარღვევის მქონე ბაშვის სწავლა-სწავლება“, გადამზადდეს სკოლის მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.	- სკოლის ადმინისტრაცია
	ქუჩისა და სკოლის შენობის სხვა მხრიდან შემომავალი ხმაურისგან მაქსიმალურად დაცული საკლასო ოთახის შერჩევა და საჭიროების შემთხვევაში, გარემოს მომზადება - აკუსტიკის მორგება, შესაბამისი ფარდები, სკამები ფეხებზე რბილი მასალით, იატაკის რბილი საფარი, რელევანტური განათება და სხვა.	- სკოლის ადმინისტრაცია - მულტიდისციპლინური გუნდის წევრი/ები - მშობელი
	ადილობრივი მთავრობისთვის/მერიისთვის მიმართვა, რათა ხმის გამაძლიერებელი სისტემით (რადიოგადამცემით) და მიკროფონით უზრუნველყონ, რაც ელენეს მასწავლებლისა და თანატოლებისგან ინფორმაციის პირდაპირ, ზედმეტი ფონური ხმაურის გარეშე მიღებაში დაეხმარება და ასევე მიკროფონის/ების საშუალებით შესაძლებელი იქნება ჯგუფური დისკუსიების ეფექტიანად მართვა.	- სკოლის ადმინისტრაცია - მშობელი
	სკოლის დაწყებისთანავე ელენეს კლასელების მომზადება სმენის სირთულეების მქონე ბავშვთან (და უშუალოდ ელენესთან) კომუნიკაცია/ინტერაქციის კუთხით მარტივად მომზადებული ვიზუალური მასალისა და ბავშვებთან წარმართული საუბრის საშუალებით.	- კლასის დამრიგებელი - სკოლის სპეციალური მასწავლებელი

ელენეს მშობლები მომზადებულები არიან ბავშვის სკოლაში ჩართვისა და სასწავლო პროცესში მისი მხარდაჭერისთვის	ელენეს მშობლებისთვის სკოლის სტრუქტურის, განრიგის, მასწავლებლების, მშობლებისა და მოსწავლეების მიმართ არსებული მოთხოვნების, რესურსებისა და საჭიროებების გაცნობა.	- სკოლის ადმინისტრაცია - კლასის დამრიგებელი
	მშობლებისთვის ელენეს აკადემიური უნარების განვითარების და ზოგადად, სწავლის ხელშემწყობი სტრატეგიების სწავლება.	- მულტიდისციპლინური გუნდის წევრი/ები
	მშობლებისთვის ელენეს მიერ საკუთარ ყურზე და სასმენ აპარატზე დამოუკიდებლად ზრუნვის ხელშეწყობის და ლექსიკური მარაგის გაძლიერება-გაფართოვების მეთოდების, სტრატეგიების სწავლება.	- სმენისა და მეტყველების თერაპევტი
ელენე მზადაა სკოლაში უმტკივნეულოდ გადასვლისა და საგანმანათლებლო პროცესში ეფექტიანად ჩასართველად	ელენეს მომზადება-მხარდაჭერა შემდეგი მიმართულებით: ✓ ლექსიკური მარაგის გაზრდა-გაძლიერება; ✓ სმენის ეფექტიანად გამოყენების/მართვის უნარის გაძლიერება; ✓ სმენის აპარატზე დამოუკიდებლად ზრუნვის სწავლება; ✓ საკუთარი ვიზუალური ყურადღების ეფექტიანად მართვის სწავლება - მოსაუბრეზე ყურადღების მიმართვა, მოსაუბრიდან მოსაუბრეზე გადატანა, შენარჩუნება და ა.შ. ✓ თვითადვოკატირების, დახმარების მოთხოვნის სწავლება, როცა რაიმე არ არის გასაგები, საჭიროებს გამეორებას, საჭიროებს უკეთეს განთავსებას და ა.შ.	- სმენისა და მეტყველების თერაპევტი - საბავშვო ბაღის ფსიქოლოგი - საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი - მშობლები
	ელენეს პერსპექტივის გაგება სკოლაზე, მოსალოდნელ ცვლილებებზე ერთობლივად შედგენილი ამბების, ნახატების და სხვა საშუალების გამოყენებით.	- საბავშვო ბაღის ფსიქოლოგი - საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი - მშობლები
	ელენესთვის სკოლის გარემოს, წესების, რუტინის და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების გაცნობა სკოლაში საორიენტაციო ვიზიტების, სკოლის შესახებ მომზადებული ამბების და წიგნების საშუალებით.	- საბავშვო ბაღის ფსიქოლოგი - საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგი - კლასის დამრიგებელი - მშობლები

II შემთხვევა:

გიორგი - 4 წლის და 3 თვის

გიორგი ცხოვრობს მშობლებსა და ორ უფროს ძმასთან ერთად. ბავშვი ჯანმრთელობასთან დაკაშირებული გარკვეული პრობლემებით დაიბადა (ბავშვთა ცერებრული დამბლის მსუბუქი ფორმით) და შედეგად, მთელი ოჯახის განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ მოექცა.

გიორგი ხალისიანი პატარა ბიჭია, რომელსაც უფროსი ძმები და ბიძაშვილები ხშირად ეთამაშებიან, მაგრამ შედარებით უჭირს მას თანატოლებთან თამაშში ჩართვა. გიორგი განსაკუთრებულ ინტერესს ილუსტრირებული წიგნების მიმართ იჩენს.

გიორგის ბაღში არ უვლია, ადრეული ასაკიდან ის მხოლოდ აბილიტაცია/რეაბილიტაციის მომსახურებით სარგებლობს. გიორგის რეაბილიტაციის სპეციალისტის რჩევით, ბავშვი 4 წლის და 2 თვის ასაკში ბაღში შეიყვანეს, რომ სკოლაში მისვლამდე მას სახლისგან განსხვავებულ გარემოსა და რუტინასთან შეგუების და მეტი დამოუკიდებლობის შეძენის შესაძლებლობა ჰქონოდა.

მიუხედავა იმისა, რომ ბაღში მისვლამდე გიორგის უკვე შეძენელი ჰქონდა თვითმოვლის ბაზისური უნარები, მათ შორის ტუალეტის მოხმარება, ბაღის თანამშრომლებმა შენიშნეს, რომ ის ერიდება ბაღის ტუალეტში შესვლას, ფაქტობრივად მთელი დღე ცდილობს მოთხოვნილების შეკავებას და ელოდება სახლში წასვლას.

აღნიშნული მდგომარეობა უარყოფითად ისახება ბავშვის ჩართულობაზე, უჭირს თამაშზე კონცენტრირება, ხშირად დაღლილი და შეწუხებული ჩანს. ზოგჯერ საცვალი და შარვალიც უსველდება, რაც ბავშვში განსაკუთრებულ სტრესს და სხვებისგან გარიყულად ყოფნას განაპირობებს.

მშობლებთან შეხვედრისას გაირკვა, რომ გიორგი სახლში თავისუფლად და დამოუკიდებლად იყენებს ტუალეტს. გიორგის დედამ ბაღის პედაგოგებს უთხრა, რომ ხანდახან, როცა გიორგი სახლის გარეთ არის, ის ზოგჯერ სახლში სველი ბრუნდება.

სახლში აღნიშნულ საკითხზე საუბრისას, გიორგიმ უთხრა დედას, რომ მას არ მოსწონს ბაღის ტუალეტში შესვლა, რადგან იქ ხალხი შედის და ყველას შეუძლია მისი დანახვა და, რომ ასევე ერიდება ბაღის აღმზრდელებისთვის დახმარების თხოვნაც.

მშობლის და საბავშვო ბაღის თანამშრომლებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს გიორგის მიერ ტუალეტის მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება, რადგან, მათი აზრით, არა მარტო ბაღში, არამედ სკოლაშიც მნიშვნელოვანი ბარიერი არ შექმნოდა ბავშვს.

გიორგის მშობლებმა დახმარებისთვის რეაბილიტაციის პროგრამის სპეციალისტებსაც მიმართეს.

გიორგის ტუალეტის მოხმარებასთან დაკავშირებული საჭიროების სიღრმისეული შეფასების შედეგად შემდეგი მიზეზები გამოვლინდა:

- გიორგი სახლში მიჩვეულია უნიტაზზე ჯდომას, რომელიც მაქსიმალურად მორგებულია მასზე - აქვს შესაძლებლობა ფეხები დააყრდნოს სპეციალურად მისთვის მომზადებულ ფეხების დასადებს და ხელი მოკიდოს კედელზე მიმაგრებულ პატარა ძელს. აღნიშნული ადაპტაციის საჭიროება, გიორგის წონასწორობასთან დაკავშირებული სირთულეებით იყო განპირობებული და მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი აღარ საჭიროებს ამ ადაპტაციებს, დამხმარე საშუალებებით ის ბევრად უფრო უსაფრთხოდ გრძნობს თავს. აღნიშნული მორგებები გიორგის არ აქვს საბავშვო ბაღში.
- სახლში გიორგი ძირითადად სპორტულ შარვალს იცვამს, რომლის ჩაწევა-აწევაც დამოუკიდებლად შეუძლია, ხოლო გარკვეული შესაკრავების შემთხვევაში (ჯინსის შარვლის რკინის ღილი, ელვა და ა.შ.) გიორგი სხვის დახმარებას საჭიროებს. სახლში მას არ უჭირს დახმარების თხოვნა, თუმცა ერიდება ბაღის და სხვა გარემოში.
- გიორგის არ აქვს საერთო ტულეტების გამოყენების გამოცდილება, რაც ასევე სტრესული აღმოჩნდა ბავშვისთვის.

გამოვლენილი სირთულეების საპასუხოდ, რეაბილიტაციის ცენტრის ოკუპაციურმა თერაპევტმა ფსიქოლოგთან თანამშრომლობით შემდეგი რეკომენდაციები შეიმუშავა:

- ✓ საბავშვო ბაღში გიორგისთვის სახლის ტუალეტის მსგავსი დამხმარე საშუალებების გაკეთება (საწყისი ეტაპისთვის);
- ✓ უფროსების მხრიდან ტუალეტში შესვლის წახალისება და საწყის ეტაპზე უზრუნველყოფა, რომ გიორგისთან ერთად სხვა ბავშვები არ იყვნენ ტუალეტში; ეტაპობრივად ტუალეტის სხვა ბავშვებთან ერთად გამოყენების მიჩვევა, რაც სკოლის გარემოსთვის მოსამზადებლად არის მნიშვნელოვანი;
- ✓ გამოსაცვლელი ტანსაცმლის ქონა ბაღში (დასველების შემთხვევაში გამოსაცვლელად);
- ✓ გიორგისთვის დახმარების თხოვნის სწავლება;
- ✓ ბაღში ადვილად გასახსნელი და შესაკრავი შარვლით სიარული;
- ✓ ბავშვის მიერ შესაკრავების გახსნა-შეკვრის უნარის გაუმჯობესებაზე მუშაობა;
- ✓ სახლში ტუალეტის დამხმარე საშუალებების გარეშე გამოყენების მიჩვევა;

სკოლაში ტრანზიციისთვის გასათვალისწინებელი რეკომენდაციები:

- ✓ გიორგისთვის საორიენტაციო ვიზიტების მოწყობა სკოლის ფიზიკურ გარემოსთან, უშუალოდ ტუალეტსა და მომავალ მასწავლებელთან წინასწარი შეგუების მიზნით;
- ✓ ტუალეტთან შედარებით ახლოს მდებარე საკლასო ოთახის შერჩევა;
- ✓ სკოლაში ჩართვის საწყის ეტაპზე, საჭიროების შემთხვევაში ასისტენტის დახმარება;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ტუალეტის მორგება.

აღნიშნული რეკომენდაციების გარდა, ბაღის პერსონალმა გადაწყვიტა, რომ როგორც გიორგისთვის, ასევე სხვა ბავშვებისთვისაც სკოლასა და სკოლის ტუალეტთან დაკავშირებული შესაძლო შფოთვის შესამცირებლად, სასარგებლო იქნება სკოლის რუტინის და ჰიგიენის დაცვის შესახებ ილუსტრირებული სახალისო წიგნის მომზადება და ბავშვებისთვის გაცნობა.

III შემთხვევა:

დათო 5 წლის და 10 თვის ბიჭია, რომელიც მალე სკოლაში წავა.

სპეციალური საჭიროებების არსებობის გამო, დათო სკოლაში ეფექტიანად ჩასართავად სპეციალურ ხელ-შეწყობას და გაფართოებულ მხარდაჭერას მოითხოვს. სწორედ ამ მიზნით, დათოს საჭიროებები შეფასდა და ტრანზიციის აქტივობები განისაზღვრა.

ტრანზიციისათვის საჭიროებების განსაზღვრის ფორმა

ზოგადი ინფორმაცია:

ბავშვის სახელი, გვარი: **დათო XXXXXXXX**

დაბადების თარიღი: **XX.XX.XXXX**

ასაკი: **5 წლის და 10 თვის**

მისამართი: **XXXXXXXXXXX**

ბავშვის მშობელი/ძირითადი მეურვე: **XXXXXXXXXXX**

საკონტაქტო : **XXXXXXXXXXX**

შევსების თარიღი: **XXXXXXXXXXX**

პასუხისმგებელი პირი: **სკოლამდელი განათლების დაწესებულების აღმზრდელი - XXXXXXXX**

ინფორმაცია გამშვები დაწესებულების შესახებ	ინფორმაცია ბავშვის მიმღები დაწესებულების შესახებ
დაწესებულების დასახელება **N X-ე საჯარო ბაღი** მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია **XXXXXXXXXXX** ტრანზიციაზე ძირითადი პასუხისმგებელი პირი სკოლამდელი განათლების დაწესებულების **აღმზრდელი - XXXXXXXXXXX** ძირითადი პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია **XXXXXXXXXXX**	დაწესებულების დასახელება **N X-ე საჯარო სკოლა** მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია **XXXXXXXXXXX** ტრანზიციაზე ძირითადი პასუხისმგებელი პირი **XXXXXXXXXXX, დამრიგებელი** პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია **XXXXXXXXXXX**

ინფორმაცია ბავშვთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებებზე:

(მიუთითეთ მომსახურების დასახელება, მომსახურების მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია, რა სიხშირით არის ბავშვი ჩართული და როგორია დასწრება)

ბავშვი ჩრთულია ადრეული ინტერვენციის პროგრამაში, სერვისს იღებს ორგანიზაციაში - „XXXXXXXXXXXX". კვირაში სამჯერ დადის გამოყენებით ქცევით თერაპიაზე, ხოლო ორჯერ — სენსორული ინტეგრაციის თერაპიაზე.

ტრანზიციასთან დაკავშირებული ბავშვის წინარე გამოცდილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დათოს პირველი ტრანზიცია განხორციელდა სახლიდან ადრეული ინტერვენციის სერვისში, საწყის ეტაპზე გაუჭირდა შეგუება. ბაღში ტრანზიცია დაიგეგმა და გახორციელდა ეტაპობრივად, რამაც ხელი შეუწყო დათოს ჩართულობას.

ინფორმაცია ბავშვის ჯანმრთელობის და მასთან დაკავშირებული საჭიროებების შესახებ:

აუტიზმის სპექტრის აშლილობა F84.0 . წყარო ფორმა 100.

ინფორმაცია დამხმარე მოწყობილობებზე/ტექნოლოგიებზე, რომლითაც ბავშვი სარგებლობს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ბავშვი კომუნიკაციისა და ურთიერთობისათვის იყენებს ბარათების გაცვლითი კომუნიკაციის სისტემას - PECS (Picture Exchange Communication System), რომელიც წიგნის სახით არის მომზადებული და მოიცავს ბარათების ფართო არჩევანს.

ბავშვის სწავლასა და განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაცია

სფეროები	→ **დამატებითი მხარდაჭერის ტიპები**
კომუნიკაცია და ენა კომუნიკაციის მიზნით დათო წარმატებით იყენებს ბარათების გაცვლით კომუნიკაციის სისტემას (PECS). მეტყველებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო დათოს უჭირს თანატოლებთან კომუნიკაციის დამყარება. იგი იშვიათად არის კომუნიკაციის ინიციატორი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სურს რაიმეს მიღება.	• დათოს კომუნიკაციის საჭიროებებსა და თავისებურებებზე პედაგოგებისა და თანატოლების ინფორმირება • სკოლის პერსონალის და თანაკლესელების მიერ კომუნიკაციის ალტერნატიული სისტემის გაცნობა და გამოყენების სწავლება • დათოსთან კომუნიკაციის დროს კლასისთვის ბარათების გამოყენების წახალისება

პიროვნული, სოციალური და ემოციური განვითარება/ქცევა დათოს არ მოსწონს როდესაც მის საგნებს დაუკითხავად ეხებიან, ასეთ დროს და მისთვის სასურველი საგნის ვერ მიღების შემთხვევაში ჩქმეტს ან კბენს ადამიანს. უჭირს მოულოდნელი ცვლილებების მიღება, სჭირდება ინფორმაციის წინასწარი მიწოდება.	• ბავშვისთვის უსიამოვნო ფაქტზე სოციალურად მისაღები გზით რეაგირების სწავლების ხელშეწყობა. მაგ: ბარათის შექმნა, რომელიც გამოხატავს უსიამოვნებას და მისი გამოყენების სწავლება • ბავშვის ახალ გარემოსთან შეგუების ხელშეწყობა, აღიშნულისთვის საჭირო სტრატეგიების გამოყენება • პედაგოგებისა და თანატოლებისთვის დათოს თავისებურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მისი ნივთების აღებისგან თავის შეკავება • ბავშვის დაცვა მოულოდნელობებისგან - სკოლის აქტივობების ვიზუალური განრიგის მომზადება, რაც დათოს ხელს შეუწყობს წინასწარ განჭვრიტოს სასწავლო დღე და მოსალოდნელი აქტივობები • მასწავლებლისთვის ქცევის მართვის სტრატეგიების სწავლება
კოგნიტური განვითარება დათოს აქვს კარგი ვიზუალური მეხსიერება, ადგილებს, ბარათებით ნაჩვენებ ინფორმაციას სწრაფად ითვისებს. უჭირს ვერბალურად მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით აქტივობების თანმიმდევრობის განსაზღვრა.	• ვიზუალური ცხრილების და ბარათების გამოყენება სწავლების პროცესში, ინსტრუქციების ბავშვისთვის გასაგებ კომუნიკაციის სტილზე მორგება
წინააკადემიური უნარები დათო ახარისხებს მსგავს ფერებს, ფიგურებს, შეუძლია მსგავსი და განსხვავებული ობიექტების იდენტიფიცირება.	• ბავშვის საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური გეგმის შედგენა
სწავლასთან დაკავშირებული ქცევა/უნარები თუ დავალება არ არის მისთვის საინტერესო, არ ერთვება დავალების შესრულების პროცესში, დგება, იწყებს სიარულს	• ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში დათოს ინტერესების გათვალისწინება • ყურადღების კონცენტრაციის გაზრდისთვის და მეტი ჩართულობისთვის აქტივობების და სტრატეგიების შემუშავება

თამაში უყვარს მანქანებით თამაში. თუ ბავშვები ცდილობენ ჩართონ დათო სხვადასხვა აქტივობაში, ის ერთვება გარკვეული დროით და თამაშობს მათთან ერთად, რაც მის ძლიერ მხარეს წარმოდგენს.	• ბავშვებთან თამაშის განვითარების ხელშეწყობა • თანაკლასელების წახალისება ჩართონ დათო ერთობლივ აქტივობებში • სხვადასხვა ერთობლივი აქტივობის დაგეგმვა, რომელიც უპასუხებს როგორც დათოს, ასევე მისი თანატოლების ინტერესებსა და შესაძლებლობებს
სენსორული ფუნქციონირება ესმის როგორც ხმამაღალი, ასევე ჩურჩულით ნათქვამი, ასევე აქვს კარგი მხედველობა. ავლენს მომატებულ მგრძნობელობას ხმამაღალი ხმებისა და ხმაურის მიმართ. შესაძლოა, გამოავლინოს გაღიზიანება სკოლის ზარის ხმაზე	• სკოლის ზარის ხმასთან ეტაპობრივად შეჩვევა • საჭიროების შემთხვევაში ზარის დარეკვის წინ ხმის დამხშობი ყურის საცობების ან მუსიკალური მოწყობილობის ყურსასმენების გამოყენება
ფიზიკური განვითარება და მოტორული უნარები შეუძლია ველოსიპედის ტარება, სიმაღლეზე ასვლა, კალმის ხელში დაჭერა, ხატვა, კოპირება	• არ საჭიროებს
თვითმომსახურების და ადაპტური უნარები დათოს შეუძლია დამოუკიდებლად ჭამა, ჩაცმა, ხელ-პირის დაბანა მითითების შემთხვევაში. ასევე, ათვისებული აქვს ტუალეტის მოხმარების ჩვევა. თუმცა, შედარებით ახალ გარემოში, საჭიროებს დროს შესაგუებლად და ტუალეტის დამოუკიდებლად გამოსაყენებლად	• სკოლაში ჩართვამდე საორიენტაციო ვიზიტების დროს ტულეტთან შეგუება. • საჭიროების შემთხვევაში, საწყის ეტაპზე ასისტენტის დახმარება
ბავშვის სპეციფიკური ინტერესები დათოს ძალიან უყვარს მანქანები, იგი აგროვებს მცირე ზომის მანქანებს, ასევე მოსწონს სათამაშო დინოზავრების დათვალიერება და მათ შესახებ ინფორმაციის მოსმენა.	
ბავშვის ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები/ცვლილებები 1 წლის წინ დათოს დაეღუპა ბაბუა, რომელთანაც დიდ დროს ატარებდა და რომლის გარდაცვალებაც მტკივნეულად განიცადა, იყო გაღიზიანებული.	
ბავშვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია არის ძალიან აქტიური, შესაძლებელია ავიდეს მისთვის სახიფათო სიმაღლეზე	
სხვა გასათავლისწინებელი ინფორმაცია ოჯახის წევრების გადმოცემით, დათოს არ უყვარს ხმამაღალი ხმები, ხმაური, ასეთ დროს ზოგჯერ ძლიერ ყვირილს იწყებს და ყურებზე იფარებს ხელს, მატულობს შფოთვა	

ინფორმაცია ოჯახის შესახებ:	დათო ცხოვრობს მშობლებთან და 2 წლის დასთან ერთად.

ბავშვის პერსპექტივა ტრანზიციაზე

ბავშვს მოსწონს სკოლაში წასვლა, რადგან მისი უფროსი ბიძაშვილი, რომელიც მას ძალიან უყვარს, მესამე კლასშია და ხშირად აჩვენებს სკოლაში გადაღებულ სხვადასხვა ფოტოს.

ოჯახის (მშობლების) პერსპექტივა ტრანზიციაზე და კომენტარები

მშობლების სურვილი და პრიორიტეტია ბავშვმა უსაფრთხოდ იგრძნოს თავი სკოლაში და წარმატებით ჩაერთოს სასკოლო აქტივობებში; მათ მიაჩნიათ, რომ წარმომადგენლებს იმ სკოლამდელი დაწესებულებისას, რომელშიც დათო დადიოდა და ადრეული ინტერვენციის სპეციალისტებს, შეუძლიათ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიონ საწყის ეტაპზე მასწავლებლებს, რადგან იცნობენ ბავშვს, კარგად იციან მისი თავისებურებები და მისი მხარდაჭერა განსხვავებულ კონტექსტსა და სიტუაციაში.

ტრანზიციასთან დაკავშირებული ძირითადი საჭიროებების შეჯამება:

- კომუნიკაციასა და ინტერაქციასთან დაკავშირებული საჭიროებები;
- ახალ გარემოსთან და მოულოდნელ ცვლილებებთან შეგუების სირთულე;
- სენსორული საჭიროებები - აუდიო ინფორმაციის დამუშავების სირთულე;
- ქცევის მართვასთან დაკავშირებული საჭიროებები.

ტრანზიციის აქტივობები:

- ✓ სკოლის პერსონალის, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების აღმზრდელების, ადრეული ინტერვენციის სპეციალისტების და მშობლების ერთობლივი შეხვედრების ორგანიზება, ბავშვზე დამატებითი ინფორმაციის მოპოვებისა და არსებული ინფორმაციის გაზიარების მიზნით;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, სკოლის სპეციალისტების (ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი) კომპეტენციის გაძლიერება აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა განათლების, ეფექტური სწავლების სტრატეგიების შერჩევა - გამოყენების, კომუნიკაცია-ინტერაქციის და ქცევის მართვის საკითხებში;
- ✓ მასწავლებლების კომპეტენციის გაზრდა აუტიზმის სპექტრის აშლილობის საკითხებზე, კონსულტაციების ორგანიზება სპეციალისტებთან;
- ✓ დათოს ძლიერი მხარეებისა და განვითარების თავისებურებების განხილვა (მასწავლებელი, მშობელი, აღმზრდელი, ადრეული ინტერვენციის სპეციალისტები);
- ✓ მასწავლებლების გაწაფვა, რათა ბარათების გაცვლითი კომუნიკაციის სისტემა გამოიყენონ, დათოსთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარების მიზნით;
- ✓ სკოლის დაწყებამდე თანაკლასელებთან ერთად ჯგუფური განხილვა განსხვავებულობის მიღებაზე. ბავშების გარკვეულწილად ინფორმირება დათოს კომუნიკაციის თავისებურებების შესახებ. თანაკლასელებისთვის სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციის ფორმის გაცნობა და ბარათების გაცვლითი კომუნიკაციის სისტემის დემონსტრირება, განმარტება და მხარდაჭერა დათოსთან პირველი კომუნიკაციის დამყარებისას;
- ✓ საკლასო ოთახში ვიზუალური სქემებისა და გრაფიკული გამოსახულებების დამატება (მაგ. გაიკვრება დღის რუტინა, გაკვეთილების ცხრილი, საკლასო წესები და ა.შ.);

- ✓ სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვის მონიტორინგი და მშობლებსა და სკოლის წარმომადგენლებს შორის ეფექტური კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- ✓ სწავლის დაწყებამდე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება;
- ✓ ტრანზიციამდე ექვსი თვით ადრე სასკოლო გარემოსა და სასწავლო აქტივობების შესახებ დათოსთვის ინფორმაციის მიწოდება ბარათებისა და პერსონალური ისტორიების მეთოდის გამოყენებით;
- ✓ დათოსთვის ჯერ ვიზუალური გამოსახულებებით - ფოტოებით, შემდეგ კი სკოლაში ვიზიტების საფუძველზე მასწავლებლებისა და მიმღები დაწესებულების პერსონალის წარდგენა / გაცნობა;
- ✓ სკოლის გაცნობის და მასთან შეგუების მიზნით, სკოლის რუქის და სკოლის გარემოს ამსახველი ატლასის დამზადება, იმ ადგილების ფოტოებით, სადაც დათოს მოუწევს ხშირად ყოფნა. ატლასის გაცნობის შემდეგ, სკოლაში შესაბამისი ადგილების - სკოლის ეზოს, საკლასო ოთახის, კაფეტერიის და ა.შ. მონახულება;
- ✓ თანაკლასელების წინასწარ (შესაძლოა, თავდაპირველად ფოტოების საშუალებით და შემდეგ უშუალოდ) გაცნობა;
- ✓ დათოსთვის სასწავლო და საგაკვეთილო აქტივობების და რუტინის ამსახველი ვიზუალური გამოსახულებების ცხრილის გაცნობა; დათოსთვის ცხრილის გამოყენების სწავლება;
- ✓ დათოსთვის ყურსასმენების გამოყენების სწავლება, მაგ. ძლიერი ხმაურისას შესვენების დროს, ზარის დარეკვისას და ა.შ;
- ✓ დათოსთვის უსიამოვნების გამომხატველი მინიშნებების გამოყენების (მაგ.: ბარათების საშუალებით) და უსიამოვნო სტიმულებისა თუ სიტუაციების დროს საკუთარი ქცევის მართვის სწავლება.

IV შემთხვევა:

ნინი 6 წლის და 3 თვის გოგონა.

ინფორმაცია ნინის შესახებ:

ნინი ცხოვრობს დედასა და ბებიასთან ერთად. მშობლები განქორწინებულები არიან და მამას ბავშვი ნახულობს კვირაში ერთხელ. დედა ძირითადად მუშაობს და ნინი დიდ დროს ბებიასთან ატარებს. ნინი აქტიური, მხიარული გოგონაა, რომელსაც უყვარს სათამაშოებით თამაში, ხატვა. ნინი ცნობს გეომეტრიულ ფიგურებს, ფერებს, ასოებს და ციფრებს.

ბაღში ბავშვს არ უვლია.

დედის და ბებიის გადმოცემით, ნინის შეუძლია კომუნიკაციის დამყარება ნებისმიერი ასაკის ბავშვთან, ერთვება ერთობლივ თამაშებსა და აქტივობებში. ხშირად ბავშვი თავად არის კომუნიკაციის ინიციატორი. ამის მიუხედავად, ვერ მოხერხდა ნინის ბაღში მიყვანა, რადგან ბავშვს უჭირდა ბაღთან შეგუება, დედასთან განშორება და ბაღში მის გარეშე დარჩენა. ნინი მშობლის წასვლისთანავე იწყებდა ტირილს, აღმზრდელებს უჭირდათ მისი დამშვიდება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბავშვი დამშვიდდებოდა, ნაკლებად ერთვებოდა აქტივობებში და სახლში წასვლამდე იყო მოწყენილი. დედამ ბავშვის ერთსა იმავე ბაღში შეყვანა სცადა 3-ჯერ, 3, 4, და 5 წლის ასაკში, მაგრამ ამაოდ. შეკითხვაზე, თუ რატომ არ უნდოდა ბაღში სიარული, ნინი ყოველთვის განსხვავებულ პასუხებს იძლეოდა: რომ მასწავლებელი არ მოსწონდა, ბავშვები არ მოსწონდა, არ უნდოდა იქ მარტო დარჩენა და სხვა მიზეზი. აღმზრდელები დედას სთხოვდნენ, გარკვეული დრო გაეტარებინა ბაღში ბავშვთან, რისი საშუალებაც დედას, სამუშაო განრიგიდან გამომდინარე, არ ჰქონდა.

ნინის კარგად აქვს განვითარებული დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარ-ჩვევები. შეუძლია დამოუკიდებლად ჭამა, ჩაცმა და ფლობს პირადი ჰიგიენის მარტივ უნარებს. ასევე, *ასაკის შესაბამისად აქვს განვითარებული წინააკადემიური უნარებიც.*

ტრანზიციის პროცესი:

ასაკიდან გამომდინარე, ნინის სკოლაში შესვლა უწევს.

ნინის მშობლებმა და ბებიამ სკოლის არჩევის შემდეგ, სკოლის პერსონალს საბავშვო ბაღში შეყვანასთან დაკაშირებული სირთულეები გაუზიარეს.

სკოლის სპეციალური მასწავლებლის ინიციატივით, ერთობლივად დაიგეგმა ბავშვის სკოლაში შესვლის პროცესის მხარდაჭერა, რომელშიც აქტიურად ჩაერთვებიან ბავშვის ოჯახის ყველა წევრი და სკოლის წარმომადგენლები.

სკოლაში ტრანზიციის უზრუნველყოფა:

გარემოს მომზადება:	**ბავშვის მომზადება:**
▪ შეხვედრა სკოლის პერსონალსა და ბავშვის ოჯახის წევრებს შორის (დედა, მამა, ბებია) ბავშვის შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით. ▪ შეხვედრა წარმომადგენელთან იმ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისა, რომელშიც ნინის ტარება სცადეს, ოჯახის წევრებისგან დამატებითი ინფორმაციის მოპოვება ბავშვის შფოთვის და მისთვის სტრესული სიტუაციების შესახებ; ▪ საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი სპეციალისტების ჩართვა (მაგ.: ფსიქოლოგი) ნინის უცხო გარემოში შფოთვასთან, ახალ სიტუაციებთან ადაპტირების სტრატეგიების განსაზღვრის მიზნით; ▪ მასწავლებლების კომპეტენციის გაზრდა შფოთვასთან, მშობელთან განშორების, ახალ გარემოსთან შეგუების საკითხებში, ასევე ქცევის მართვის სტრატეგიების გამოყენების კუთხით შესაბამის სპეციალისტებთან კონსულტირება; ▪ ბავშვისთვის მნიშვნელოვანი, საინტერსო, სახალისო აქტივობების შერჩევა-მომზადება ნინისთვის სკოლის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით; ▪ დასწრების ალტერნატიული განრიგის მომზადება და სკოლასთან ნინის ეტაპობრივად შეგუების ხელშეწყობა შფოთვის შემცირების მიზნით; ▪ სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის თვალ–ყურის დევნება და რეგულარული კომუნიკაციის უზრუნველყოფა მშობლებსა და სკოლის წარმომადგენლებს შორის; ▪ მომავალი თანაკლასელების მშობლებთან დაკავშირება და მათი სურვილის შემთხვევაში ნინისა და მომავალი კლასელის/ების ერთობლივი აქტივობის/ების ორგანიზება.	▪ სასწავლო წლის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ნინის მომზადება სასკოლო გარემოსა და სასწავლო პროცესისთვის მისთვის სახალისო და საინტერესო აქტივობების და სკოლაში საორიენტაციო ვიზიტების საშუალებით; ▪ ნინის შეხვედრა სკოლის წარმომადგენლებთან (დამრიგებელი, სპეციალური მასწავლებელი); ▪ ოჯახის წევრი/ების მიერ ნინისთან ერთად მისი სკოლასთან დაკავშირებული განცდების, დამოკიდებულების, მასწავლებლების, აქტივობების მიმართ არსებული მოლოდინების განხილვა; ▪ სკოლის შესახებ მოთხრობის, მულტფილმის განხილვა, რომლის ძირითადი თემაა ტრანზიცია ერთი აქტივობიდან მეორეზე ან ერთი ქალიქაიდან სხვა ქალაქში გადასვლა, ბაღიდან სკოლაში შესვლა და ა.შ; ▪ ბავშვისთვის თანაკლასელების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; ▪ რომელიმე ერთ ან ორ ბავშვთან ერთად (მომავალ თანაკლასელთან) რაიმე აქტივობის განხორციელება (მაგ.: გასართობ ცენტრში წასვლა); ▪ თანაკლესელების გაცნობის დღის მოწყობა სკოლაში.

გეგმის შემუშავების შემდეგ, განისაზღვრა გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, როლები გადანაწილდა როგორც ოჯახის წევრებს, ასევე სკოლის წარმომადგენლებს შორის. განისაზღვრა ტრანზიციის სამოქმედო გეგმა და მისი განხორციელების სავარაუდო განრიგი.

სკოლის სპეციალური მასწავლებელი განისაზღვრა ტრანზიციის გეგმის უზრუნველყოფისა და მის მონიტორინგზე ძირითად პასუხისმგებელ პირად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Anderson, K. L. (2011). Children with Hearing Loss – Helpful Adaptations in the School Environment. Minnesota Department of Education. Retrieved from http://parentsknow.state.mn.us
- Dell, C. D., & Whaley, K. (2018). Local District Preschool Inclusion Self-assessment. Retrieved from: http://ectacenter.org/~pdfs/topics/inclusion/local-inclusion-self-assessment.pdf
- Fabian, H., Dunlop, A.W. (2006). Outcomes of Good Practice in Transition Processes for Children Entering Primary School. Strong Foundations: Early Childhood Care and Education
- Guidelines for Early Childhood Transition to School for Children with Special Needs (2002). Retrieved from:

  https://www.gov.mb.ca/healthychild/publications/protocol_cwsn.pdf
- Hirst, M., Jervis, N., Visagie, K., Sojo, V. & Cavanagh, S. (2011). Transition to primary School: A Review of the Literature. Canberra: Commonwealth of Australia.

  http://unesdoc.unesco.org/images/0014/001474/147463e.pdf

  https://www.education.vic.gov.au/documents/about/research/outcomesfinalvicuni.pdf

  https://www.unicef.org/earlychildhood/files/Child2Child_ConceptualFramework_FINAL(1).pdf
- Hundeide, K. (2010). The Essence of Human Care: an introduction to the ICDP programme. Part One. ICDP, Oslo, 1.3.06.
- Kirk, S. A. et. al. (2012). Educating Exceptional Children. (13th ed.). Belmont: Wadsworth.
- Kirklees Guidance for Transitions in the Early Years. Kirklees Council. Retrieved from: http://www.kirklees.gov.uk/beta/working-with-children/pdf/childcare-providers/transition-guidance.pdf
- Transition: A Positive Start to School (2008). Centre for Equity & Innovation in Early Childhood (CEIEC). The University of Melbourne Vic 3010. RFQ Reference Number: 200809AS November/December. Retrieved from: https://education.unimelb.edu.au/yrc
- Outcomes & Indicators of a Positive Start of School" (2009). Victoria University, Australia.
- Rogoff, B. (2003). The Cultural Nature of Human Development. New York: Oxford University Press.
- Rosier, K. & McDonald, M. (2011). Promoting Positive Education and Care Transitions for Children. Australian Institute of Family Studies, ISSN 1838-7349. Retrieved from: https://aifs.gov.au/cfca/sites/default/files/publication-documents/rs5.pdf
- School Readiness: A Conceptual Framework (2012). United Nations Children's Fund, New York. Three United Nations Plaza New York, 10017. Retrieved from: https://www.unicef.org/earlychildhood/files/Child2Child_ConceptualFramework_FINAL(1).pdf
- Skouteris, H., Watson B., Lum, J. (2012). Preschool Children's Transition to formal Schooling: The Importance of Collaboration between Teachers, Parents and Children. Deakin University, Australasian Journal of Early Childhood Volume 37 Number 4 December. Retrieved from: http://mnprek-3.wdfiles.com/local--files/research-studies/Transition%20to%20formal%20schooling%20-%20collaboration.pdf
- Skouteris, H., Watson, B., lum, J. (2012). Preschool children's transition to formal schooling: The Importance of Collaboration between Teachers, Parents and Children. Deakin University Australasian Journal of Early Childhood. Volume 37 Number 4. Retrieved from: http://mnprek-3.wdfiles.com/local--files/research-studies/Transition%20to%20formal%20schooling%20-%20collaboration.pdf
- Smooth Transitions in the Early Years: a Good Practice Guide, Central Bedfordshire Council. Retrieved from: www.centralbedfordshire.gov.uk
- Transition to School. Guidelines for Early Intervention Providers (2014). New Zealand Government.
- Transition: A Positive Start to School. A guide for families, Early Childhood Services, Outside School Hours Care Services and Schools. (2009). Published by the Early Childhood Strategy Division Office of Children and Portfolio Coordination Department of Education and Early Childhood Development Melbourne. State of Victoria.
- ლაღიძე, ა., დემეტრაშვილი, გ., მიქიაშვილი, მ., ჯამათაშვილი, გ., პაქკორია, თ. მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა სკოლაში ტრანზიციის ხელშეწყობა

დამხმარე სახელმძღვანელო

2018